აა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

თეონა ემინაძე

ბიზნეს სექტორის რეგულირების სახელმწიფო პოლიტიკა და მისი სრულყოფის გზები თანამედროვე ეტაპზე

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი.

მეცნიერ ხელმძღვანელი
გიორგი აბუსელიძე,
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

ხიჭაური 2019

ანოტაცია

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრობლემატიკა მზარდი აქტუალობით გამოირჩევა. საერთაშორისო ეკონომიკური მოვლენების ფონზე საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა სუსტი განვითარების ტენდენციით ხასიათდება.

საბაზრო მოდელის პირობებში ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი არსებითად მცირდება. აქ ძირითადად მისი როლი დაიყვანება იმაზე, რომ ერთ შემთხვევაში ზემოქმედება მოახდინოს საბაზრო მექანიზმის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, ხოლო მეორეს მხრივ - უშუალო მონაწილეობა მიიღოს იმ პროცესების ორგანიზაციასა და რეალიზაციაში, რომლებშიც საბაზრო ურთიერთობები ან არარაციონალური ან არსებითად შეზღუდულია.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის მექანიზმები სამეწარმეო საქმიანობის დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფის საქმეში. გაანალიზებულია ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების ზოგიერთი მაჩვენებელი.

State policy regulation of business sector and ways of its improvement in the modern stage

Annotation

The problem of state regulation of the economy in the modern world is distinguished by its increasing relevance. Against the backdrop of international economic events, Georgia's economic situation is characterized by a very weak development trend.

The level of state participation in economy in terms of market model is substantially reduced. Here, basically, his role will be over that in one case affect the efficient functioning of the market mechanism, And on the other hand to participate in the organization and realization of processes in which market relations are either irrelevant or substantially limited.

The master's work deals with mechanisms of state regulatory role in ensuring accelerated development of entrepreneurial activity. Some indicators of sustainable development of economic growth and economy are analyzed.

Eminadze T

სარჩევი

შესავალი ----------4

თავი I. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების თავისებურებები და საბაზრო ურთიერთობები-6

I. 1. ბიზნეს სუბიექტების როლი სბაზრო ურთიერთობებში----------6

I. 2. საკუთრებითი ურთიერთობების განვითარება საქართველოში----------11

I.3. მეწარმეობის არსის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები ----------17

თავის II. სახელმწიფო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ასპექტები----------23

II.1. სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ფუნქციები და მექანი------23

II. 2. სახელმწიფოს როლი ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის რეგულირებაში---------25

II. 3. ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების მართვის თავისებურებები--35

დასკვნები ----------51

გამოყენებული ლიტერატურა ----------53

დანართი----------55

შესავალი

ნაშრომის აქტუალობა. სახელმწიფოს როლს ბიზნესის რეგულირებაში დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. ამ პრობლემის გადაწყვეტაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული არა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება, არამედ ქვეყანაში სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა.

საერთაშორისო ეკონომიკური მოვლენების ფონზე საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ სუსტი განვითარების ტენდენციით ხასიათდება. ბოლო ორ ათწლეულში შექმნილი მდგომარეობა განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა ბიზნესის კლიმატის ფორმირებისთვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რამდენიმე წლის განმავლობაში ეს სისტემა ინერციით და სრულიად უკონტროლოდ განაგრძობდა არსებობას. თუმცა საბოლოოდ ყველა მექანიზმი მოიშალა და ქვეყანაში დაიწყო მწვავე კრიზისი რასაც თან დაერთო ვალუტის მკვეთრი გაუფასურება - ჰიპერინფლაცია. აღნიშნული კრიზისი უფრო მარტივად იქნებოდა დაძლეული თუ სახელმწიფო შეძლებდა კომუნისტური წყობიდან მემკვიდრეობით მიღებული უზარმაზარი საწარმოებისა და ფაბრიკების კომპლექსის შენარჩუნებასა და მათი განვითარებისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას.

მიუხედავად თანამედროვე პირობებში მიღწეული დადებითი შედეგებისა, სახელმწიფო სისტემამ განვითარებული კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისთვის საჭირო პირობების შექმნა ბოლომდე ვერ უზრუნველყო.

ეკონომიკური სისტემის შემდგომი რეფორმების მიზნები მისი მდგრადობის განმტკიცება, განვითარებისთვის საჭირო კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება და რეალიზაცია, სახელმწიფოს, როგორც ერთ-ერთი მონაწილის როლის სწორი

განსაზღვრა, ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს ფორმირება და ეკონომიკური პარამეტრების ამაღლება წარმოადგენს.

ჯანსაღი ბიზნეს გარემოს ფორმირება და ამ პროცესის ხელშეწყობა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამიტომ სახელმწიფო მოწოდებულია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს გარდამავალ პერიოდში მიმდინარე პროცესებში, თუმცა სამეურნეო პროცესებში სახელმწიფოს მონაწილეობას აქვს გარკვეული საზღვრები.

ისტორია მეტყველებს, რომ კაპიტალისტური სისტემის ფუნქციონირება აუცილებელია არა მხოლოდ ეკონომიკის გასავითარებლად, არამედ დემოკრატიის შესანარჩუნებლადაც, პოლიტიკური თავისუფლების აუცილებელი პირობა კი კერძო საკუთრებაა. მიჩნეულია, რომ სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია ორმხრივად არის დაკავშირებული სახელმწიფოს რეფორმირებასთან: ჯერ ერთი, იგი აუცილებელი პირობაა დემოკრატიის არსებობისთვის, ამიტომ თავისუფალი ეკონომიკის მშენებლობას უნდა ვესწრაფოდეთ ერთი მხრივ, ეროვნული მეურნეობის განვითარების მიზნით და მეორეს მხრივ, ამას მოითხოვს ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრების ინტერესები.

ნაშრომის კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები. ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო მარეგულირებელი ფუნქციების გაცნობა, ხოლო მისი კვლევის უმთავრეს ამოცანას კი წარმოადგენს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება.

კვლევის მეთოდები. ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები. კვლევაში გამოყენებულია სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების, თავმოყრისა და დაჯგუფების მეთოდები.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ნაშრომის დამუშავების პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა ლიტერატურა, ინტერნეტ-ტექნოლოგიები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები, საქართველოს

ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტროს და სხვა დაწესებულებათა მიერ გამოქვეყნებული მასალა.

თავი I

საბაზრო ეკონომიკის ფორმირების თავისებურებები და საბაზრო ურთიერთობები

$1. ბიზნეს სუბიექტების როლი საბაზრო ურთიერთობებში

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უაღრესად დიდია ბიზნესის როლი და მნიშვნელობა. დღეს ჯანსაღი ბიზნესის განვითარების პირობები განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს. ამიტომ ბიზნესი ხდება საქართველოს ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი. ბიზნესის საშუალებით შეიძლება მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რამდენად ინერგება ან დაინერგა ქვეყნის ეკონომიკაში საბაზრო მექანიზმი და მეურნეობრიობის მეთოდები.

თანამედროვე საზოგადოებაში ნებისმიერი ადამიანი ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულია ბიზნესთან. ზოგი თავად ქმნის ბიზნესს, ზოგი კი მოიხმარს მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას. ბიზნესი ეს არის კანონიერი გზით მოგების მიღების მიზნით განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობა, ხოლო ბიზნესმენი ინგლისური წარმოშობის სიტვაა და პირდაპირი გაგებით „საქმიან ადამიანს“ ნიშნავს (ხუბუნაია, 2015, გვ.10).

საბაზრო ურთიერთობათა განვითარების საფუძველში დევს საქონლის წარმოება გაცვლისა და გაყიდვისთვის. მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის არსებობს ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა, რის შედეგადაც ფორმირდება მოთხოვნა-მიწოდება და მერყეობს საქონლის ფასი. სწორედ ამას ეწოდება „ბაზარი“. იგი

ხასიათდება, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობით ყიდვა-გაყიდვის პროცესში, ასევე მის ფუნქციონალური როლით სამეურნეო სისტემაში - გამყიდველსა და მყიდველს შორის კონტაქტის, კავშირის უზრუნველყოფით.

საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული ურთიერთობები ჯერ კიდევ პრეისტორიულ პერიოდში წარმოიშვა და განვითარების რთული გზა გაიარა. კაპიტალიზმამდე ამ ურთიერთობებს მეურნების ფორმის ფარგლებში დამოკიდებული მნიშვნელობა ჰქონდა. საბაზრო ურთიერთობათა სისტემამ განმასხვავებელი თავისებურება - ყოვლისმომცველობა და ერთობლიობა ჩამოაყალიბა. საბაზრო ურთიერთობები გახდა წამყვანი, რამაც განაპირობა ისეთი სპეციფიური მოვლენის ფორმირება, როგორიცაა საბაზრო მეურნეობის სისტემა.

საბაზრო მეურნეობა წარმოადგენს საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზაციის ისტორიულად განსაზღვრულ ფორმას. მისი საფუძველია, ამ სისტემის სუბიექტებს შორის ყიდვა-გაყიდვითი ურთიერთობები.

მეცნიერ ეკონომისტთა აზრით, საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბება ობიექტურად განპირობებული პროცესია. ის დაკავშირებულია ადამიანის რაციონალურ საწყისთან, როდესაც ეკონომიკური რესურსების უკმარისობის პირობებში, იგი ეძებს გამოსავალს. გარკვეულ ვითარებაში რესურსების შეზღუდვა ეხება ყველა სფეროს: შრომას, ნედლეულს, კაპიტალურ-ტექნიკურ საშუალებებს.

წარმოების სპეციალიზაციის ზრდისა და საზოგადოებრივი შრომის დანაწილების სრულყოფასთან ერთად, წარმოიქმნა მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა ახალი ტიპი - გაცვლა, რომელმაც სულ უფრო მდგრადი და მუდმივი ხასიათი შეიძინა. პროდუქტის გაცვლისათვის გამიზნულმა წარმოებამ იგი საქონლად აქცია.

ცალკე საუბრის თემაა, კერძო საკუთრება, რომელიც საქონელწარმოებლების საფინანსო-სამეურნეო დამოუკიდებლობისა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთი საფუძველია. წარმოების პირობებსა და შედეგებზე არსებული კერძო საკუთრება, მეწარმეს საშუალებას აძლევს თავად გადაწყვიტოს თუ რომელი და რა რაოდენობის საქონელი აწარმოოს, როგორი ხერხით და რისთვის

აწარმოოს. სამეწარმეო პრობლემის გადაწყვეტის თავისუფლება საქონელმწარმოებლის სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლობის ძირითადი ნაწილია.

ამგვარად, სამეწარმეო ურთიერთობის წარმოქმნის გადამწყვეტი პირობაა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და საქონელმწარმოებლის ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

თუმცა, თავდაპირველად გაცვლა შემთხვევით ხასიათს ატარებდა, რადგან საზოგადოებებს შორის არ არსებობდა შრომის სერიოზული დანაწილება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ეკონომიკური განკერძოება თავისთავად არ არის სასაქონლო-ფულად ურთიერთობების მიზეზი. იგი ასეთი მხოლოდ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შედეგად ხდება.

კერძო საკუთრების წარმოქმნასთან ერთად, ეკონომიკურმა განკერძოებამ მკაფიო ფორმები მიიღო. საბაზრო საზოგადოებამ უდიდეს განვითარებას მიაღწია კაპიტალიზმის ეპოქაში, რადგან შრომის დანაწილებას აქ გააჩნია გიგანტური მასშტაბები, ხოლო მწარმოებლები ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან კერძო მესაკუთრეობრივი ურთიერთობების მტკიცე ზღვარით. ამიტომაც კავშირის ერთადერთ შესაძლო ფორმად ბაზარი იქცა. საბაზრო ურთიერთობების მუდმივი განახლება შესაძლებელია მხოლოდ ექვივალენტური გაცვლის საფუძველზე. გაცვლა ობიექტურად გულისხმობს საბაზრო ურთიერთობის ყოველი სუბიექტის ინტერესის რეალიზებასა და ურთიერთგამორჩენას. კერძოდ, მეწარმის ინტერესი მდგომარეობს არა მარტო საქონლის წარმოებისას დანახარჯების ანაზღაურებაში, არამედ, მოგების მიღებაში, რომელიც გაფართოებულ კვლავწარმოებას უზრუნველყოფს.

საკუთარ ინტერესებზე ზრუნვისას მეწარმე მის რეალიზებას მხოლოდ საქონლის გაყიდვის შედეგად ძლებს. ეს ნიშნავს, რომ კონკრეტულ ბაზარზე უნდა არსებობდეს არა უბრალოდ მოთხოვნა, არამედ, გადახდისუნარიანი მოთხოვნა. ამით საქონლის მწარმოებელი პირადი ან კორპორატიული მიზნებისაგან დამოუკიდებლად ემსახურება საზოგადოებას. ასევე ემსახურება იგი საზოგადოებრივ პროგრეს, უზრუნველყოფს რა

ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვით თავისი დანახარჯების შემცირებას.

ამგვარად, ინდივიდუალური მიზნების რეალიზების პროცესში „უხილავი ხელი“ (სმიტის გამოთქმით) მეწარმეების საზოგადოების ინტერესების შესაბამის გადაწყვეტილებების მიღებას აიძულებს.

აღსანიშნავია, რომ, XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო ბიზნესის სოციალური კონცეფციის შემუშავება, რომელიც საბოლოოდ დასრულდა XX საუკუნის 30-იან წლებში. მისი არსი ღრმად შემუსავებულია ცნობილის მეცნიერების ფ.ბერლისა და გ.მიზნის მონოგრაფიაში „თანამედროვე კორპორაცია და კერძო საკუთრება“, ასევე, ამერიკელი ეკონომისტის გ.ბაუენის „ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობა“-ში. ამ კონცეფციის არსი გამომდინარეობს შემდეგი ლოგიკური ჯაჭვიდან: თანამედროვე კორპორაციები ფუნქციონირებენ გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ-კულტურულ გარემოში. შესაბამისად მათ არ შეუძლიათ თავი აარიდონ საზოგადოების ინტერესებს. ვინაიდან ეს სტაბილურობა წარმოადგენს მათი ეფექტური მოქმედების პირობას. ის ხელს უწყობს მათ საკუთარი საქმიანი ინტერესების რეალიზებას. შესაბამისად, წარმოებელთა ვალია თავიანთი ინტერესების კოორდინირება საზოგადოებრივ ინტერესებთან.

საბაზრო ეკონომიკის წარმოქმნასა და ჩამოყალიბებას რთული ისტორია აქვს. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარება ხელს უწყობდა სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის წინსვლას, რომლის საფუძველი იყო: საზოგადოებრივი შრომის დანაწილება, მეწარმეების ეკონომიკური თავისუფლება, ინდივიდუალური ინტერესების რეალიზების შესაძლებლობა. თუმცა, თავად ეს პროცესი მეტად მძიმე იყო მოსახლეობის მრავალი ფენისათვის. ცნობილია კაპიტალის პირველადი დაგროვების სიძნელეები, რომელსაც ხშირად თან სდევდა უკანონო ქმედებები ან პირდაპირი ძალადობა. არც სახელმწიფოს მარეგულირებელი ღონისძიებები იყო უმტკივნეულო.

საბაზრო ეკონომიკის განვითარების რიგი ეტაპები გამოიყოფა:



საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება უპირობოდ მარტივი სასაქონლო წარმოების განვითარებას უკავშირდება, რომელიც დაფუძნებულია მეწარმე-მესაკუთრის შრომაზე. საქონლის წარმოება და გაცვლა არ მოიცავდა მთელ ეკონომიკურ სისტემას. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები არ ატარებდა ზოგად ხასიათს.

საკუთრივ საბაზრო ეკონომიკის განმასხვავებელი თვისებაა ის, რომ საქონლის წარმოებამ და გაცვლამ საზოგადოებრივი ხასიათი მიიღო. მისი მატერიალური საფუძველი გახდა მანქანური წარმოება, რომელმაც საგრძნობლად გაზარდა გამოშვებული საქონლის რაოდენობა, რომლის უმეტესი ნაწილი გასაყიდად იყო განკუთვნილი და გაცვლის პროცესში მონაწილეობდა. მესაკუთრის შრომა შეიცვალა დაქირავებული შრომით, საბაზრო ურთიერთობათა სფეროში ჩაერთო ე.წ. სამუშაო ძალა, რომელიც თავად გახდა საქონელი.

საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ადრეულ სტადიაზე საქონელწარმოება ხასიათდებოდა სრულყოფილი ან წმინდა კონკურენციით. საბაზრო ურთიერთობების სპეციფიკამ კი (სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების რეალიზება, წარმოების მაშტაბის გაზრდასთან ერთად, კონკურენტული ბრძოლის გამძაფრება) სრულყოფილი კონკურენცია არასრულყოფილად გადააქცია.

არასრული კონკურენციის ტიპების განვითარებამ, მეურნების საბაზრო სისტემაში ურთიერთობათა განვითარებამ და წინააღმდეგობათა ზრდამ ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფო გავლენა გააძლიერა. წარმოიშვა რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა. ის ხასიათდება ეკონომიკის ორი სექტორით (კერძო და სახელმწიფო) და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირების ორი მექანიზმით (ბაზრის თვითრეგულაცია და სახელმწიფოებრივი რეგულირება).

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მაშტაბებიდან და მიზნებიდან გამოდინარე, გამოყოფენ შემდეგ ეკონომიკურ მოდელებს:



სამეცნიერო წრეებში გავრცელებულია აზრი, რომ მომავლის საბაზრო ეკონომიკა დახასიათდება ეროვნული ეკონომიკის რეგულირების გუნდურ-ადმინისტრაციული, გეგმურ-დირექტიული მეთოდებით, თვითრეგულირების საბაზრო მექანიზმის დათრგუნვით. დროის მოვლენები ნაწილობრივ ადასტურებენ ამ მოსაზრებათა სისტემებს.

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკის სიტემის სრულყოფის საფუძველშია სასაქონლო წარმოების განვითარება, რომელიც წარმოიქმნა საბაზრო მეურნეობაზე ადრე და შენარჩუნდება მომავლის საბაზრო ეკონომიკის არსებობის პირობებშიც.

§2. საკუთრებითი ურთიერთობების განვითარება საქართველოში

საკუთრება წარმოადგენს სუბიექტურ-ობიექტურ (ადამიანი-ნივთი-სიკეთე), ასევე სუბიექტურ-სუბიექტურ (ადამიანი-ადამიანი) დამოკიდებულებას ნივთების მიკერძოების, ეკონომიკური პროცესების, რაიმე სხვა ცხოვრებისეული სიკეთის მითვისების პროცესში.

მითვისება - ესაა ამა თუ იმ ეკონომიკური რესურსის, ცხოვრებისეული სიკეთის გარდაქმნის პროცესი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოცემული სუბიექტის საკუთარ ცხოველქმედებაზე. განკერძოება - ესაა იგივე ეკონომიკური რესურსის სუბიექტის ცხოველქმედებაში გარდაქმნის შეუძლებლობა.

როგორც წესი, განასხვავებენ საკუთრებისადმი დამოკიდებულების ეკონომიკურ და იურიდიულ ფორმას. უკანასკნელი გამოიხატება საკუთრების კანონში. პირველად ისტორიაში ის შემუშავდა რომში - იმპერატორ იუსტინიანეს კოდექსში(VI ს.), როგორც მესაკუთრის უფლება ფლობდეს და იყენებდეს რაიმე მატერიალურ დოვლათს. XIXს-ის დასაწყისში, რომის კანონების მოცემული ნორმა, გახდა საფუძველი ნაპოლეონის კოდექსისა (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, 1804წ.). იგი თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობის მეთოდოლოგიური საფუძველია.

ბუნებრივია, რომ დროთა განმავლობაში, სამოქალაქო ურთიერთობათა იურიდიულმა ნორმებმა გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. დაიწყეს მათი დაწვრილმანება, რამაც საბაბი მისცა გამოეყოთ კანონების „კონა“. მაგ: ცნობილი სამართალმცოდნე ა.ონორე ამ უკანასკნელში გამოყოფს:

1. საკუთრების უფლებას;
2. გამოყენების უფლებას;
3. მართვის უფლებას, ანუ თუ რა სახით არის შესაძლებელი საკუთრების ობიექტის გამოყენება;
4. შემოსავლის უფლებას, ანუ მესაკუთრის მიერ ნივთის თავად ან სხვებისთვის მისი გამოყენების უფლების მიცემის შედეგად მიღებული დოვლათის მიღება;
5. ნივთის კაპიტალური ფასეულობის უფლებას, ანუ სრული უფლება განსაზღვროს მისი შემდგომი ბედი (განკერძოება, მოხმარება, განადგურება და ა.შ.);
6. უსაფრთხოების უფლებას, ანუ იმუნიტეტს ექსპროპიციაზე;
7. მემკვიდრეობის უფლებას;
8. უვადო ფლობას;
9. საზიანო გამოყენების აკრძალვას;

10. პასუხისმგებლობას ჩამორთმევის პირობით, ანუ ვალის ამოღების მიზნით საკუთრების ჩამორთმევას;

11. ნარჩენ ხასიათს, ანუ ვადის ამოწურვის შემდეგ უფლებათა დაბრუნების ვალდეულებას;

ასეთია ზოგადად საკუთრების ფენომენის საკანონმდებლო ინტერპრეტაცია.

თუმცა, საკუთრების უფლება არ არის მისი ეკონომიკური შინაარსის ამსახველი. ის უთუოდ გამოხატავს რეალურ ეკონომიკურ პროცესებსა და ურთიერთობებს. თუმცა ამასთანავე, არსებობს და ვითარდება საკუთარი კანონებით. აქედანაა სწორედ განსხვავება საკუთრების იურიდიულ და ეკონომიკურ შინაარსს შორის.

საკუთრების უფლების სუბიექტები არიან მხოლოდ ფიზიკური და იურიდიული პირები, ანუ ვისაც კანონით აქვთ უნარი მიიღონ თავის თავზე იურიდიული მოვალეობები. ეკონომიკური ფორმის სუბიეტებად გამოდიან ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სუბიექტები.

საკუთრების უფლება პირველ რიგში არის სუბიექტურ-ობიექტური დამოკიდებულება, ანუ უფლების სუბიექტის დამოკიდებულება მოცემულ დოვლათთან (ნივთი, ინფორმაცია, კაპიტალი და ა.შ.), რომელიც, როგორც წესი, პოტენციურად ან ფაქტობრივად წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობათა ობიექტს, აფიქსირებს საკუთრების ობიექტზე ბატონობის შესაძლებლობის ამა თუ იმ ხარისხს და გამორიცხავს სხვა იურიდიული და ფიზიკური პირების ანალოგიურ უფლებებს.

საკუთრების ეკონომიკური შინაარსი იშლება სუბიექტურ ურთიერთობებში, საზოგადოების ეკონომიკური რესურსების წარმოების, გაცვლის, მოხმარებისა და გადანაწილების პროცესში, ასევე მათი მითვისება- განკერძოებისას, რაშიც მონაწილეობს უკლებლივ ყველა საზოგადოებრივი სუბიექტი (ეკონომიკური, პოლიტიკური, საკანონმდებლო და სოციალური).

საკუთრება მრავალზომიერი მოვლენაა, რომელიც მოიცავს არამარტო ეკონომიკურ და საკანონმდებლო არამედ, რიგი შემადგენელ ნაწილებს, როგორიცაა ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური, სასულიერო, ფსიქოლოგიური და სხვა.

საკუთრების ფორმის ისტორიული შინაარსი გამოხატავს დროში განცალკევებული ადამიანთა თაოებებს შორის ურთიერთობებს, რომლებიც მოქმედებენ ერთ სივრცეში მოცემული სამეურნეო საზოგადოების ფარგლებში (მსოფლიო მეურნეობა, ეროვნული შიდა ინტეგრირებული სამეურნეო კომპლექსი, ქვეყნის ეროვნული მეურნეობა). მოცემულ სიტუაციაში, მითვისება-განკერძოების ობიექტია ეკონომიკის ხარისხობრივი მდგომარეობა, არსებული და პოტენციური ეკონომიკური რესურსები.

საკუთრება წარმოადგენს სერიოზულ დაპირისპირებათა წყაროს ქართულ ეკონომიკურ რეფორმათა გზაზე. ამის მიზეზია, XX საუკუნის პოლიტიკოსთა მცდარი წარმოდგენა საკუთრებაზე როგორც ურთიერთობაზე, რომლის ცვლილებასაც განაპირობებს ყველა სხვა ეკონომიკური ურთიერთობების შეცვლას. ასევე, საკუთრების ეკონომიკურ და საკანონმდებლო ურთიერთობებს შორის პრინციპული სხვაობის უარყოფა.

დასავლეთში, ეკონომიკური რეფორმები მიმდინარეობს ინსტიტუციონალურ პირობებში. თანამედროვე დასავლეთის ეკონომიკური მეცნიერება, XVII-XIX საუკუნეებისაგან განსხვავებით, საერთოდ არ ცდილობს საკუთრების შესახებ რაიმე ახალი წარმოდგენის შქმნას. დასავლეთელი თეორეტიკოსები გამოდიან პოსტულატიდან, რომლის მიხედვით კერძო საკუთრება მუდმივ კატეგორიაა. ამიტომ ისინი მოითხოვენ ეკონომიკური სისტემის მხოლოდ ორგანიზაციულ-მმართველობითი ურთიერთობების რეფორმას.

ქართველი რეფორმატორების უმრავლესობა და მათი კვლევები ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებიდან, მიიჩნევენ, რომ საკუთრება „ძირითადი სამეწარმეო ურთიერთობაა“, რომელიც „განსაზღვრავს ყველა დანარჩენ ურთიერთობებეს“, მათ შორის ეკონომიკის ორგანიზაციასა და მართვას. ამასთან, ისინი უყურადღებოდ ტოვებენ იმ ფაქტს, რომ საკუთრება და საკუთრების უფლება სხვადასხვა მცნებებია. ამიტომაც პოსტსაბჭოთა სივრცის რეფორმატორთა შორის არსებობს აზრი, რომ საკმარისია კანონით გამოვაცხადოთ საკუთრების ის ფორმა, რომელიც ყველაზე ეფექტურად ითვლება, ხოლო დანარჩენი თვითონ აეწყობა.

XIX საუკუნის ბოლოს ევროპაში მემარცხენე პოლიტიკოსებს შორის ცხარე კამათები იმართებოდა, ამ პროცესში ქართველი სოციალ-დემოკრატებიც მონაწილეობდნენ. ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, კ.ჩხეიძე და სხვები თვლიდნენ, რომ რადგან საწარმოო ძალები ევროპაში ჩამორჩებოდა, მომავალი რევოლუცია უეჭველად ბურჟუაზიული უნდა ყოფილიყო, ხოლო ძალაუფლება და საკუთრება ბურჟუაზიის ხელში დარჩენილიყო.

ამ აზრს არ იზიარებდა ე.წ. „მესამე დასი“ და სხვა ულტრა-მემარცხენეები, ისინი მიიჩნევდნენ, რომ თუ დამყარდება სახელმწიფო საკუთრება ძირითად საწარმოო საშუალებებზე, 10-15 წელიწადში შესაძლებებლია ისეთი საწარმოო ძალის შექმნა, რომელიც საკმარისი იქნება ე.წ. „სოციალისტური საკუთრების“ ჩამოყალიბებისთვისო.

სამწუხაროდ, ეს პრობლემა თავიდანმე ეკონომიკური რელსებიდან სამართლებრივზე გადაიყვანს, ისე რომ კერძო საკუთრების მომხრეებმა ვერც კი შეამჩნიეს როგორ აღმოჩნდნენ სამართლებრივ წინააღმდეგობებში. საკუთების სასურველი ფორმის გამოცხადება და მისი რეალიზაცია არ აღმოჩნდა თანამიმდევრული მოვლენა.

რეალურად საკუთრების უფლება ისევე განსხვავდება საკუთრების ეკონომიკური მხარისაგან, როგორც საცხოვრებელი ფართის ფლობის უფლება, რეალურ საშუალებას გქონდეს ბინა. რაიმე მატერიალური სიკეთის საკუთრებად გადაქცევის გზა კი არ გადის, არამედ ყოველდღიურ აქტიურ მოღვაწეობაზე, რომელიც ადამიანისაგან გარკვეულ ცოდნას, ნიჭსა და ძალას მოითხოვს. ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ საკუთრების ეკონომიკური ურთიერთობები დამოკიდებულია არა საკუთრებით უფლებებზე, არამედ, პირიქით, ეკონომიკური ურთიერთობები განსაზღვრავენ და განაპირობებენ საკუთრების სამართლებრივ მხარეს.

სახემწიფო საკუთრების დემონტაჟის ავტორთა ძირითადი არგუმენტია, რომ სახელმწიფო საკუთრება არავის არ ეკუთვნის, ამიტომაც მისი განსახელმწიფოებრიობისას იქმნება სრულფასოვანი კერძო საკუთრება, მასთან ერთად კი, ნამდვილ კერძო მესაკუთრეთა ბაზარი.

თუ ღრმად დავაკვირდებით აქციონერული საკუთრების არსს, მაშინ ილუზიაა, რომ ის წარმოადგენს კერძო კაპიტალისტური საკუთრების ნაირსახეობას, თავისთავად გაქრება. აქციონერთა უმრავლესობა ფლობს აქციათა უმნიშვნელო ნაწილს, ამიტომაც ისინი ისეთივე „ კერძო მესაკუთრეები“ არიან, როგორც საბჭოთა კავშირის მოქალაქეები იყვნენ მთელი მსოფლიოს ერთი მეექვსედის „მესაკუთრეები“.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია, განსახელმწიფოებრიობა, რომლის მიზანს წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნათა შესაბამისად საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალფეროვნების, დამკვიდრება, მრავალწყობიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება, მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროში რეალური მეურნეების ფორმირება, მწარმოებლური შრომის მოტივაციის შექმნა და ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება. საქართველოს სახელმწიფომ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდანვე დაიწყო აღნიშნულ საკითხზე მუშაობა და შესაბამისი საკანონმდებლო სისტემის განვითარება. პრივატიზების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ბაზის განმტკიცებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო ქონების პრივატიზების გზების სწორად განსაზღვრას.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პრივატიზაციის პროცესის მოწესრიგებისა დაჩქარების შესახებ ბოლო წლებში მიღებულ კანონებს და დებულებებს: „სახელმწიფო ქონების პრივატიზების ქონებისა და ფორმების შესახებ“, „ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასების შესახებ“, „პრივატიზაციის პროცესში ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების ღირებულების ინდექსირების შესახებ“, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, „ადგილობრივი თვითმმართველობის მართველობის ორგანოებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ობიექტების გადაცემის წესის შესახებ“ და სხვა. რაც შეეხება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზებას, ის რეგულირდება საქართველოს კანონით „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“.

დღეისათვის სახელმწიფომ მის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაცია შეუძლია განახორციელოს პრივატიზაციის შემდეგ ფორმებით:



2016 წელს დასრულდა სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის სრულმაშტაბიანი პროექტი, რომელიც თბილისში 2013 წლიდან, ხოლო რეგიონებში 2015 წლის მარტიდან მიმდინარეობდა. პროექტის შედეგი ასეთია:

- თბილისში აღმოჩენილია 972 ობიექტი, ხოლო აღმოჩენილი მიწის ფართობი შეადგენს 7345 239 კვ.მ (734ჰა);
- რეგიონებში აღმოჩენილი მიწის ფართობი შეადგენს: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (მათ შორის საძოვარი) მიწის ფართობი 6 535 758 973 კვ.მ (653 575 ჰა) და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი 203 463 505 კვ.მ (20 346 ჰა).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში რეგიონებში დარეგისტრირდა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 40 705 ჰა (ინვენტარიზაციის შედეგად აღმოცენილი ქონების 6%) და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი 55 061 075 კვ.მ (ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი ქონების 27%).

§3. მეწარმეობის არსის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები

ეკონომიკური განვითარების და მოსახლეობის ცხოვრების ნორმალური დონის მიღწევის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკურ სივრცეში თანამედროვე ცივილიზებული მწარმოებლობის ფორმირება.

საბაზრო პროცესის მამოძრავებელ ძალას, რომელიც ასრულებს მის ძირითად კონსტრუქციულ ფუნქციებს, წარმოადგენს მეწარმე და წარმოება. მეწარმე იქვემდებარებს წარმოების პროცესს სამეწარმეო მოგების მიღებაზე, როგორც ეკონომიკის განვითარების და დაგროვების მთავარ წყაროზე. ამისათვის ის აწარმოებს ისეთ პროდუქტს, რომელიც ყველა პარამეტრით აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნილებებს. დანახარჯის თითოეული ერთეული გამიზნულია საქონლის წარმატებულ გაყიდვაზე. თითოეული მისი თვისება, დანერგილი მწარმოებლით, შეესატყვისება აზრს, რომ ის გაზრდის საქონლის გაყიდვადობას. ამგვარად, მეწარმე წარმოადგენს ბაზრის მამოძრავებელ და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ძალას. ის ქმნის როგორც საქონლის რაოდენობასა და ხარისხს, ასევე, სამომხმარებლო მოთხოვნას.

ბაზრის სუბიექტთა (მყიდველი და გამყიდველი) უდიდეს ნაწილს არა აქვს ზუსტი ცოდნა თუ სად და როგორ შეიძლება სარფიანი ყიდვა-გაყიდვა. ასეთ პირობებში მეწარმე ხდება საბაზრო პროცესის ბერკეტი და იღებს მდგრად სამეწარმეო შემოსავალს. იმავდროულად, ის აძლევს მათ ძირითად მასას მისთვის ხელსაყრელ მიმართულებას. არსებითად ის ასევე ახორციელებს სხვადასხვა ბაზრისა და მათი სეგმენტის ურთიერთკავშირს. საბაზრო ურთიერთობათა სტატისტიკურ სუბიექტთა ქცევის ვექტორი კორექტირდება მეწარმის ნაყოფიერი საქმიანობის შესწავლის შედეგად. ის აიძულებს მათ შეიტანონ ცვლილებები თავიანთ საყიდლებში და გაყიდვებში.

სხვადასხვა დროში აღებული საბაზრო ურთიერთობათა ურთიერთდაკავშირებული ქსელის სისტემატური ცვლილებების რიგი ქმნის კონკრეტულ საბაზრო პროცესს. მეწარმე არის კონკურენტული პროცესის ე.ი. საბაზრო შესაძლებლობების აქტიური შეჯიბრის მამოძრავებელი ძალა. ამაში მდგომარებს კონკურენციის სამეწარმეო ხასიათი.

კონკურენცია არის შეჯიბრის პროცესი. ის წარმოებს არა პასიურ მხარეებს შორის, არამედ, იმ მონაწილეებთან, რომლებსაც შეუძლია თავისდა სასარგებლოდ შეცვალონ შიდა და გარე გარემოებები. კონკურენციის შეჯიბრის ხასიათი მდგომარეობს არა

მხოლოდ იმაში, რომ საბაზრო პროცესის სუბიექტი იღებს გადაწყვეტილებებს თავისი კონკურენტების შესაძლო რეაქციებზე ორიენტირებით. მეტად მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მათ შეუძლიათ ბაზარს შესთავაზონ კონკურენტებზე უკეთესი საქონელი. მეწარმე წარმოადგენს ინოვაციური და სარისკო პროცესების მთავარ მამოძრავებელ ძალას. ის სხვებთან შედარებით ადრე ხედავს, თუ რომელ ინოვაციაში წარმართოს რესურსები, თუ რომელი სარისკო საქმიანობა მოუტანს მას მეტ შესაძლებლობას მიიღოს სამეწარმეო მოგება.

ქვეყანას გააჩნია წარმოების ძირითადი ფაქტორები - მდიდარი ბუნებრივი რესურსები, ინტელექტუალური და მსოფლიო პოტენციალი. მაგრამ ეს არაა საკმარისი ეროვნულსა და მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გასაწევად. მაგ: იმისათვის რომ ეროვნული დანახარჯი იყოს მსოფლიოზე ნაკლები, აუცილებელია ბუნებრივი რესუსრსების ეკონომიკური მოხმარება. ამისათვის საჭიროა წარმოების მთელი ციკლის ორგანიზება ახალ, მოწინავე ტექნოლოგიებსა და მათ შესაბამის ტექნოლოგიურ საფუძველზე. მსოფლიო დონის კონკურენტუნარიანობისთვის საჭიროა მივმართოთ არსებული ინტელექტუალური პოტენციალი ინოვაციების შექმნასა და ეფექტურ გამოყენებაზე. მეტად მნიშვნელოვანია საბაზრო პროცესის ათვისება. ყველაფერი ეს ხდის მეწარმეს განსაკუთრებულ სამეწარმეო ძალად. პრობლემა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ რეალიზდება ის სამეწარმეო საქმიანობაში.

დღესდღეობით მნიშვნელოვანია, რომ მეწარმეობამ გაუწიოს რეალიზება თავის სტრატეგიულ რესურსს, გახდეს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის და მისი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება. ამისთვის კი საჭიროა მეწარმეობის არსის სწორი გაგება. სწორედ ასეთ მყარ სამეცნიერო საფუძველზე უნდა იქნას ჩამოყალიბებული თანამედროვე ცივილიზებული მეწარმეობა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შესაძლებელია განისაზღვროს მეწარმეობის ეკონომიკური არსი. მეწარმეობა წარმოადგენს მეწარმის სტრატეგიული ხედვის შერწყმას მის უნართან გარდაქმნას მომხმარებლის მოთხოვნის ცვლილების სუსტი სიგნალებიც კი. მეწარმეობის ეკონომიკური შინაარსი ძირითადში განისაზღვრება

თავად მეწარმის პირადი თვისებების არსით. როგორც ითქვა, ისინი მჟღავნდება წარმოების რესურსების, ფაქტორების ახლებურად კომბინირების შესაძლებლობაში.

მეწარმეობა უწყვეტად დაკავშირებულია მენეჯმენტთან. ცნობილია, რო მენეჯმენტის ძირითადი ამოცანაა რთული სიტუაციის მართვა. ამიტომაც წარმოებას შეუძლია ძირითადი მიზნის რეალიზების უზრუნველყოფა მხოლოდ ერთ შემთხვევაში. საჭიროა, რომ მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციები იყოს მიმართული განვითარების სტრატეგიისკენ, გარემოსადმი ადაპტაციისაკენ.

სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმარებისას, აუცილებელია წარმოების ფაქტორების ახალი კომბინაციების, პროპორციულობის გათვალისწინება. ასე შესაძლებეია უკვე გამოყენებული ტექნოლოგიების რაციონალიზაცია სამეწარმეო დაგეგმარებისა და პერსონალის მართვის ხარჯზე. ამისათვის ხდება სამეწარმეო სტრუქტურების განვითარების შესაძლებლობების სტიმულირება ფუნქციური ორგანიზაციიდან ავტონომიური სამეურნეო ცენტრების საფუძელზე არსებული ორგანიზაციის გზით.

ინოვაციის სტრატეგიული მენეჯმენტი უპირველეს ყოვლისა საჭიროებს სამეწარმეო სტრუქტურების და მათი გარემოს ფუნქციონირების მუდმივ ანალიზს. გარემოს ანალიზი წარმოებს ორი გზით:

1. დგინდება ინოვაციური ქმედებებისგან მიღებული სარგებლის ალბათობა. ამისათვის აუცილებელია საკუთარი რესურსებისა და პერსპექტიული მიმართულებების საფუძვლიანი ანალიზი. ამასთან ანალიზი უნდა შეეხოს სამეწარმეო საქმიანობის როგორც მაკრო ისე მიკრო მაშტაბს. პირველ ნაწილოში შედის, სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკური, სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, რეგიონალური და სხვა სფეროები. მეორე ნაწილში კი, მომწოდებლები, მყიდველები, პოტენციალური პარტნიორები, პროდუქციის განახლების შესაძლებლობები, კონკურენციის ინტენსივობა, სამეწარმეო კოოპერატივისა და ინტეგრაციის შეძლებლობები;

2. სხვადასხვა სახის რისკები უარყოფითი ზეგავლენის გაუნებელყოფა ან შემცირება;

ინოვაციური მენეჯმენტისა და სამეწარმეო რისკების სტრატეგიული შემუშავებისთვის აუცილებელია მუდმივად ალტერნატიული გზების ძიების სტიმულირება. არჩეული სტრატეგია კი განხორციელდება სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, ასევე შესაბამის გეგმებში (სტრატეგიულ, გრძელვადიან, საშუალო, მოკლე და სიტუაციურ გეგმებში). მენეჯმენტის სტრატეგიის შესაბამისად ჩამოყალიბებულია ფირმის სტრუქტურაც, ამასთან ერთად მისი გათვალისწინებით ხორციელდება პერსონალის შერჩევა, მომზადება, გადამზადება და მოტივაციური სტიმულირების მექანიზმის შერჩევა.

2019 წლის თებერვლის მონაცემებით საქართველოში 726449 საწარმოა არის რეგისტრირებული, რაც 2011 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობას 360 220 ერთეულით აღემატება. საწარმოთა დიდი ნაწილი რეგისტრირებულია ქალაქ თბილისში, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის და მცხეთა მთიანეთის რეგიონებში (დიაგრამა.1).



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

რაც შეეხება ახლად რეგისტრირებულ საწარმოებს, აქაც ანალოგიური ტენდენციები ფიქსირდება ისევე როგორც მთლიანი რეგისტრაციის მაჩვენებლების შემთხვევაში.

წარმოდგენილი დიაგრამები ნათელყოფენ იმ მნიშვნელოვან უთანაბრობებს, რაც დამახასიათებელია რეგისტრირებულ საწარმოთა რეგიონული გადანაწილების კუთხით საქართველოში: თბილისში რეგისტრირებულია საწარმოების დაახლოებით 43%. ამ მაჩვენებლით თბილისი უპირობო ლიდერია ქვეყნის მაშტაბით და იგი მანიშნებელია იმ დომინანტური როლისა, რაც დედაქალაქს გააჩნია ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში.

საწარმოთა უმეტესობა რეგისტრირებულია, როგორც ინდივიდუალური საწარმოები (დაახლოებით 60%). ასევე დიდია საწარმოთა საერთო რაოდენობაში შპს-რაოდენობა, რომლის წილიც საერთო რაოდენობაში 34%-ს აღწევს (დიაგრამა 2).

დიაგრამა2: საწარმოების წილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით 2019წ.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ ქვეყანაში 180618 საწარმო არის აქტიური, რაც მთლიანად რეგისტრირებული საწარმოების 25%-ს უდრის. მსგავსი პროცენტული მაჩვენებლები გვაქვს რეგიონების მიხედვით, სადაც მთლიანად რეგისტრირებულ საწარმოებში აქტიური საწარმოების პროცენტული მაჩვენებელი 24%-დან 29%-მდე მერყეობს (დიაგრამა 3), რაც გამოწვეულია არაჯანსაღი კონკურენციის, მოძველებული ტექნოლოგიის, ცუდი ადგილმდებარეობით, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობით, მოსახლეობის დაბალი მსყიდველობით, არასტაბილური ფასებით პროდუქციაზე, რის გამოც ბაზარზე შემოსული ახალი საწარმო ვერ უძლებს კონკურენციას და განიცდის ფინანსურ პრობლემებს.

დიაგრამა3: რეგიონების მიხედვიათ აქტიური საწარმოთა წილი რეგისტრირებულ საწარმოთა რიცხვში.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

თავი II

სახელმწიფო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ასპექტები

$ 1. სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ფუნქციები და მექანიზმები

მეწარმეობის სახელმწიფოებრივი რეგულირება წარმოადგენს ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული, საკანონმდებლო და პოლიტიკური უზრუნველყოფის სისტემას, რომელიც ქმნის თანამედროვე მეწარმეობის ფორმირების და მდგრადი განვითარების პირობებს. სახელმწიფო მეწარმეობის ფორმირების პერიოდში ასრულებს შემდეგ ფუნქციებს.

პირველი ფუნქცია - სახელმწიფოს მიერ თანამედროვე მეწარმეობის სუბიექტების ფორმირება, რომლებიც რეალიზებენ თავიანთ შესაძლებლობებს ინოვაციურ ეკონომიკაში. სახელმწიფოს ამისათვის გააჩნია სხვადასხვა შესაძლებლობები და საშუალებები. ის უზრუნველყოფს მეწარმეობის ეკონომიკურ თავისუფლებას, ქვეყნის ეკონომიკურ სივრცეში ქმნის თანასწორ „თამაშის წესს“, ფორმირებს მეწარმეობის სტიმულირების ეკონომიკურ მექანიზმებს, ასევე რეგულიების საგადასახადო, საკრედიტო, სადაზღვეო, საამორტიზაციო და სხვა სისტემებს. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას მეწარმეების განათლების, მომზადების და გადამზადების ეფექტური სისტემა და ა.შ.

მეორე ფუნქცია - კონკურენტული გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ნამდვილი ეკონომიკური შეჯიბრის განვითარებას, სადაც კონკურენტული უპირატესობები უზრუნველყოფილია ტექნოლოგიის და ტექნიკის უწყვეტი განახლების, ინოვაციური მენეჯმენტისა და მარკეტინგის დანერგვის, მეწარმის ინოვაციური და სარისკო შესაძლებლობების სრული რეალიზაციის, რაციონალური პრივატიზაციისა და განსახელმწიფოებრიობის, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის კარგად შემუშავებული ეფექტური მექანიზმის ხარჯზე.

მესამე ფუნქცია - პირობების შექმნა ინოვაციურ საფუძველზე უმაღლესი ხარისხის საქონლისა და მომსახურების მდგრადი ზრდისათვის. ეს პირობები იქმნება სამეწარმეო სტრუქტურების სტიმულირების და მხარდაჭერის მეშვეობით. ინოვაციური საქონლის და მომსახურების შეთავაზების ფორმირება საჭიროებს სახელმწიფოს შესატყვის ინოვაციურ პოლიტიკას, მთელი ინოვაციური ციკლის ფარგლებში სამეწარმეო სტრატეგიისა და სტრუქტურის ორიენტირებას. საუბარია ფუნდამენტური მეცნიერების ორიენტაციის კვლავწარმოების სფეროს მაკრო- მკრო- და მეზოეკონომიკურ დონეებზე.

პროდუქციის ინოვაციური კონკურენტუნარიანობის ფორმირება შესაძლებელია სტიმულირდებოდეს სახელმწიფოს მიერ საგადასახადო, მონეტარული, სადაზღვევო და ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის სხვა შემადგენელი ნაწილების მიერ. სახელმწიფო თავისი ეკონომიკური პოლიტიკით შესაძლებელია ხელს უწყობდეს თითოეულ რეგიონსა და სამეწარმეო სტრუქტურაში სპეციალიზაციის პროცესის რაციონალიზაციას, ასევე მათი ორიენტაციის მიმართვას კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაზე ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული და საერთაშორისო ბაზრისათვის.

მეოთხე ფუნქცია - ინოვაციურ პროდუქციაზე მოთხოვნის ფორმირება და სტიმულირება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სახელმწიფო შეკვეთების სისტემის შემუშავება. ეს პროდუქცია არის თავდაცვის, სახელმწიფო საწარმოების სამეცნიერო აღჭურვილობით უზრუნველყოფის ინტერესებში, ფასების დაკლების, მათი სოციალურად მისაღებ დონემდე დაყვანის მიზნით კონკურენტუნარიანი პროდუქციის გაყიდვის ინტერვენციის განხორციელება, ასევე, ინოვაციური პროდუქციის რეზერვის შექმნა ყოველი გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვის და ა.შ.

სახელმწიფო შეკვეთა არა მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების მოთხოვნაა. აუცილებელია ინოვაციური პროდუქციის რეგიონალური შეკვეთის სისტემაც, რომელიც კონკურენტუნარიანია ასევე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. სახელმწიფოს შეუძლია კონკურენტუნარიან პროდუქციაზე მდგარადი მოთხოვნის შენარჩუნება, საგადასახადო და საკრედიტო სისტემის მეშვეობით მისი სტიმულირებისას,

მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფისას, სამეცნიერო, კონკურენტუნარიანი პროდუქციის იმპორტის განვითარებისას, ეფექტური ორგანიზაციული და საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნისას.

მეხუთე ფუნქცია - მეწარმეობის ორგანიზაციული და საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება.

დღესდღეობით გარკვეულწილად წყდება მცირე ბიზნესის ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით სახელმწიფო მხარდაჭერის პრობლემა. მცირე მეწარმეობის ინფრასტრუქტურა უნდა ინტეგრირდეს ზოგადად სამეწარმეო ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის სისტემაში, სამეწარმეო საქმიანობის მასშტაბის სიდიდის და მიუხედავად (მცირე, საშუალო და მსხვილი მეწარმეობა).

მეექვსე ფუნქცია - მოცემული პროდუქციის სოციალური ორიენტაციის უზრუნველყოფა. ამ ფუნქციის შესრულება საჭიროებს სამეწარმეო სტრუქტურების ყურადღებას არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ, სოციალური ეფექტის მიღწევის მიმართ. ეს უკანასკნელი მიიღწევა იმით, რომ კვლავწარმოების სამეწარმეო ტიპი წარმოადგენს საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობის საფუძველს. მეწარმეობის შინაარსისა და როლის სწორი გაგება ითხოვს სახელმწიფო რეგულირებისაგან ინოვაციური ტიპის წარმოების სტიმულირებას, კონკურენციის განვითარებას. ეს ზრდის ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონესა და დინამიურ მდგრადობას.

სახელმწიფო სამსახური შეძლებს ეფექტურად შეასრულოს სახელმწიფო რეგულირების ჩამოთვლილი ფუნქციები, თუ ის დამყარდება გარკვეულ პრინციპებზე. ასე მაგალითად, საჭიროა საზოგადოების ცხოველქმედების მატერიალურ უზრუნველყოფასა და ქვეყნის ეკონომიკაში მეწარმეობის როლის ეკონომიკური არსის სამეცნიერო გაგება. მნიშვნელოვანია თანამედროვე ცივილიზებული მეწარმეების რაციონალური პროტექციონიზმის უზრუნველყოფა, ეკონომიკური სოციალური მიზნების ორგანული შერწყმა და პროგრამულ-მიზნობრივი რეგულირება. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სამეწარმეო საქმიანობის მრავალი ფორმის სახელმწიფო მხარდაჭერა, მისი მოტივაციური მიმართულების, გარანტიულობის,

დრეკადი დიფერენციული მიდგომის პირობებისას. აუცილებელია სახელმწიფო, ფედერალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ სამსახურებს შორის უფლებამოსილებების განაწილება და კოოპერაცია

§2. სახელმწიფოს როლი ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის რეგულირებაში

საბაზრო სისტემა ხასიათდება სრულყოფილებით, ის ძალიან შორს დგას უკონტროლობასთან. საბაზრო ძალები მოითხოვენ რეგულირებას და ამ ფუნქციას სახელმწიფო ასრულებს. სახელმწიფოს საბაზრო რეგულირება შეუძლია მოახდინოს შემდეგი ბერკეტებით:

1. შეზღუდვებისა და წესების დადგენით;
2. მოსახლეობისადმი საზოგადოებრივი სიკეთეების და სატრანსფერო გადასახადის განსაზღვრით;
3. კონკურენციის გაფართოებით;
4. ეკონომიკური სტაბილიზაციის მხარდაჭერით;

ყოველწლიურად აშშ ფედერალური სახელმწიფოს კონგრესის მიერ მტკიცდება 400-ზე მეტი ახალი კანონი თუ დებულება. საქართველოსათვის ამ მხრივ რეკორდული იყო 2005 წელი, როდესაც წლის ბოლოს დამტკიცდა 100-მდე კანონი (შენგელია, თ. 2008). გარდა ამისა, ადგილობრივი ხელისუფლება გამოსცემს დამატებით ნორმატიულ აქტებს, რომლებიც ორიენტირებულია სამეწარმეო ქცევის წესებზე. სახელმწიფო და მეწარმე ერთმანეთთან ამყარებს კავშირს მაშინ, როდესაც ოფიციალურად ხდება სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია. შემდგომ მთელი მისი საქმიანობის პერიოდში მეწარმე ანგარიშვალდებულია საგადასახადო, საბაჟო, სახანძრო, სანიტარული თუ სხვა სახელმწიფო ორგანოების წინაშე იმ ნორმებისა და ნორმატივების დაცვაზე რომელიც მათ მიერაა შემუშავებული. ბაზარი არ გულისხსმობს ვაჭრობის სრულ თავისუფლებას. ასე მაგალითად, შეუძლებელია ცალკეული სახეობის წამლის ყიდვა

რეცეპტის გარეშე. თავის მხრივ, კომპანიები ვალდებულნი არიან, თავიანთი მოგების ნაწილი უწილადონ სახელმწიფოს გადასახადების სახით. ამდენად მყარდება ორმხრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის. არსებული საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში სახელმწიფო იძლევა თავისუფალი ბიზნესის მყარ გარანტიებს, ხოლო ბიზნესი საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულია გადასახადების ფორმით (შენგელაია, თ. 2008).

იმდენად რამდენადაცა კონკურენცია არის ეკონომიკურად სასარგებლო მოვლენა, სახელმწიფო ვერ დაუშვებს მის შეზღუდვას. ბაზრის იდეალური მოდელის თეორიაში ყველაზე სრულყოფილი არის წმინდა კონკურენციული ბაზარი. ამ თეორიის შესაბამისად, ნებისმიერმა ფირმამ ვერ უნდა მიაღწიოს ისეთ მასშტაბებს, რომ მოიპოვოს დარგში მონოპოლიზებული მდგომარეობა და დაარღვიოს თავისუფალი ფასწამოქმნის მექანიზმი, ანუ დააწესოს არაკონკურენციული-მონოპოლისტური ფასები.

პრაქტიკაში ეს კანონზომიერება ხშირად ირღვევა. ის დამოკიდებულია დარგის სპეციფიკასა და წარმოების მასშტაბებზე. მაგალითად, თუ ქიმწმენდის საწარმოს კონცენტრაციის მასშტაბები არ მოითხოვს ამ ბიზნესის ზრდას, საავტომობილო წარმოებაში კი პირიქით რაც უფრო დიდია უკანასკნელის მასშტაბები, მით მეტია წარმოების მოცულობა და შესაბამისად ბაზრის გაკონტროლების შესაძლებლობანი. იმ ტიპის დარგებს, სადაც დომინირებენ მწარმოებლების პატარა ჯგუფები ეწოდება ოლიგოპოლიური დარგები. მიუხედავად იმისა, რომ ოლიგოპოლიური კავშირი არ იკრძალება სახელმწიფო ზღუდავს ამ ტიპის ფირმების გაერთიანებას რადგან ისინი უარყოფითად მოქმედებენ კონკურენციაზე და ხელს უწყობენ ოლიგოპოლიური ფასების დაწესებას.

სახელმწიფო აგრეთვე იყენებს ყველა ღონეს რათა არ წარმოიშვას მონოპოლისტური კავშირები. მონოპოლია ეს არის დარგში ან ბაზრის ცალკეულ სეგმენტში, ფუნქციონირებადი კომპანია, რომელიც მთლიანად აკოტროლებს საქონლის წარმოებასა და ფასებს. ამასთან, ის არ აძლევს სხვა კომპანიებს მონოპოლისტურ ბაზარზე შესვლის შესაძლებლობას და ამით ზღუდავს კონკურენციული გარემოს წარმოქმნის პირობებს. არსებობს ხელოვნური

მონოპოლიები. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ შექმნილი კომუნალური მომსახურების მონოპოლიები, სადაც სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებს ბაზარზე მათი ქცევის ნორმებს.

სახელმწიფო შეზღუდვების გარდა, არსებობს მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიების საქმიანობის ბუნებრივი შეზღუდვის მექანიზმიც. ცნობილია, რომ მომხმარებელი ბაზარზე ყოველთვის ეძებს უფრო იაფ საქონელს, ამიტომ მას შეუძლია, მოძებნოს მონოპოლისტური ფასის ალტერნატივა. გარდა ამისა, მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს უფრო იაფი იმპორტირებული საქონლითაც, რაც ხელოვნურად ზღუდავს ოლიგოპოლიებს.

ზოგიერთი ქვეყნები ცდილობენ, იქონიონ ერთი ან ორი მსხვილი კომპანია იმ მოსაზრებით, რომ მან გაუწიოს კონკურენცია საზღვარგარეთის ანალოგიურ მსხვილ კომპანიებს. ცხადია ისიც, რომ ცალკეული კომპანიების კონცენტრაცია და კოოპერირება ამყარებს მათ პოზიციებს მსოფლიოს ბაზარზე.

ეკონომიკური სისტემისთვის დამახასიათებელია, როგორც აღმავლობა, ასევე დაღმავლობა და რეცესია, ანუ ის პერიოდი, როდესაც მიმდინარეობს ეროვნული შემოსავლის მკვეთრი დაცემა, ეცემა წარმოება და დასაქმება. 1954 წლიდან აშშ-ს ეკონომიკაში ეკონომისტები ითვლიან აღმავლობისა და დაღმავლობის, ეკონომიკური ციკლის 34 შემთხვევას. საშუალო აღმავლობის პერიოდი გრძელდება 3 წელი, მაშინ როდესაც რეცესიის პერიოდი-11 თვეა. საქართველოში უკანასკნელ წლეებში ეკონომიკური დაცემის პერიოდი გრძელდება 1992-1996 წლებში, 1997-1999 წლებში ეკონომიკამ დაიწყო გამოცოცხლება, ხოლო 2010 წლიდან იგრძნობა აღმავლობა(დიაგრამა 4).

დიაგრამა4: მშპ-ს ზრდის ჯაჭვური ინდექსი, 2010=100



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ციკლები პროგნოზირებადია, მათ ახლავთ ეკონომიკისათვის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოვლენები. დაცემის პერიოდში მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა მცირდება, ამასთან ახლავს უმუშევრობის ზრდა და კომპანიების დახურვა, რაც კიდევ უფრო ამცირებს მოხმარებას. იმისათვის, რომ ეს ეკონომიკური პრობლემები დარეგულირდეს, სახელმწიფო მიმართავს კონტრზომებს. მანიპულირებს გადასახადით, საპროცენტო განაკვეთით, ფულადი მასის საერთო მოცულობით. ეკონომიკურ სისტემაზე ზემოქმედების მიზნით, ის იყენებს ფისკალურ და ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. ფისკალური პოლიტიკის არსი მდგომარეობს სახელმწიფოს შემოსავლებისა და გასავლების რეგულირებაში, ეკონომიკური ზრდის, როგორც სტიმულირების, ასევე შეჩერების მიზნით. ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკა გამოიყენება ფულადი მასის ზრდის შემცირებისათვის, მთლიანად ეკონომიკურ სისტემაზე ზემოქმედების მიზნით.

აღმავლობის სტადიაზე აშშ-ს ეკონომიკას შეუძლია, სამუშაოთი უზრუნველყოს მოსახლეობის 95%, დაცემის სტადიაში 1990-1991 წლებში უმუშევრობის დონემ მიაღწია 7%-ს (შენგელია, თ. 2008).

დაცემის პერიოდში უმუშევრობა ხდება ერთ-ერთი მთავარი სოციალური პრობლემა. ასე იყო XX საუკუნის 30-იან წლებში, დიდი დეპრესიის პერიოდში,

როდესაც უმუშევრობამ მოიცვა მსოფლიოში სამუშაო ძალის 25%, ამ პერიოდში არ არსებობდა სოციალური დაცვის თანამედროვე სისტემა, რის გამოც უმუშევართა ოჯახები სიღარიბისა და შიმშილობის ზღვარს მიღმა იმყოფებოდნენ.

იმ შემთხვევაში, თუ სამეწარმეო აქტივობა ეცემა და იზრდება უმუშევრობა, ხელისუფლება იძულებულია, აიღოს სახელმწიფო სესხი, რაც მიიღწევა ობლიგაციების ან ფასიანი ქაღალდების გამოშვებით, რათა ამ გზით ამოღებული სახსრები ბიზნესის მხარდაჭერასა და უმუშევრობის შეკავებას მოახმაროს.

მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო პოლიტიკამ დაამტკიცა თავისი ეფექტიანობა, ხშირად ეკონომიკაში ჩამოყალიბებული სიტუაცია აძნელებს მის ზემოქმედებას ეკონომიკურ ციკლებზე. აშშ დღეს დაახლოებით 250-300 მილიარდი დოლარით უფრო მეტს ხარჯავს ვიდრე ღებულობს. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო დაკრედიტებას დღეს კონკურენციას უწეს კომერციული და კერძო სესხები. საქმე იმაში გახლავთ, რომ დღეს საცელმწიფო შეკვეთების სახით ფირმები „ითვისებენ ფულს“, გასცემენ სესხებს ერთი და იმავე მომხმარებელზე. ამ საკრედიტო ბაზარზე სახელმწიფო, რასაკვირველია, მყარ პოზიციებს ინარჩუნებს, რაც თავის მხრივ აძევებს სხვა მეწარმეებს ამ საკრედიტო ბაზრიდან. ეკონომიკა ზარალდება კაპიტალდაბანდებების სიმცირით და სამომხმარებლო ხარჯების ზრდით. ეს, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს ერთობლივი ეროვნული ოროდუქტის და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის ნაცვლად, რომ ასტიმულიროს ეკონომიკური აღმავლობა, სახელმწიფო ხარჯების ზრდა იწვევს უკუეფექტს. საგადასახადო პოლიტიკას გააჩნია პირდაპირი კავშირი მეორე მოვლენასთან, რომელიც მოითხოვს ასევე სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას. ეს არის ინფლაცია, რომელიც აისახება საქონლისა და მომსახურების ფასების მკვეთრ ზრდაში. ინფლაცია შეიძლება გამოოიწვიოს მრავალმა ფაქტორმა (მაგალითად იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდამ), მაგრამ მათ შორის ყველაზე არსებითია სახელმწიფო სესხები. მაშინ, როდესაც სახელმწიფო ეკონომიკის მხარდაჭერის მიზნით უშვებს მსხვილ სახელმწიფო სესხებს, ბრუნვაში მყოფი ფულის საერთო მასა იზრდება.

თუ დიდი ფულადი მასა მოდის საქონლისა და მომსახურების უცვლელ რაოდენობაზე, ინფლაცია ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

თეორიულად, სახელმწიფომ ინფლაციის ტემპის ზრდის შემთხვევაში უნდა დაფაროს თავისი ვალი ეკონომიკიდან ზედმეტი ფულის მასის ამოღების გზით, რის საფუძველზეც, ინფლაციის ტემპები ეცემა საშუალო ინფლაციის დონემდე. ეს სისტემა წარმატებულად მუშაობდა XX საუკუნის 50-იან 60-იან წლებში, მაგრამ 90-იან წლებშიც ამ ღონისძიებათა მიუხედავად, ინფლაცია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კვლავაც გამოცოცხლდა და 14%-ს მიაღწია (შენგელია, თ. 2008).

ინფლაციის ასეთი დონე იწვევს საზოგადოების ეკონომიკური აქტივობის შემცირებას. ადამიანები მარაგების შექმნის მიზნით, „ინფლაციური მოლოდინის“ რეჟიმში ყიდულობენ მეტ საქონელს, ისინი არ ერიდებიან კრედიტის აღებასაც. კრედიტების მოპოვებისათვის კონკურენციულ ბრძოლაში იზრდება საპროენტო განაკვეთი, რაც სარისკოს ხდის მეწარმეების მხრიდან საკრედიტო რესურსების ათვისებას და ამცირებს საქმიან აქტივობას.

ფირმები და მოსახლეობა, იმის მაგივრად, რომ ფული ჩადონ ახალი საწარმოების მშენებლობაში, ანუ ისეთ სფეროში, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის, ზრდის ფულის ხარჯვას, მიმდინარე საჭიროებისათვის.

ამ ფსიქოლოგიური თავისებურებების გამო, ძნელი ხდება ინფლაციის ტემპების მოთოკვა. ამასთან, 80-იან წლეში მსოფლიოში გაჩნდა რიგი ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწყო ინფლაციის დონის შემცირებას და დეფლაციას. ეს ფაქტორებია: ნავთობის კარტელების შესუსტება (უკანასკნელი ნავთობზე ფასების ხელოვნურ ზრდას ნავთობის მოპოვების შემცირებით აღწევდა); ბრუნვაში არსებული ფულადი მასის სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვების გზით შემცირება, მრეწველობის სახელმწიფო რეგულირების მაშტაბების ზრდა და სხვა. ამ ღონისძიებებმა შესაძლებელი გახადა, ინფლაცია 6%-მდე შემცირებულიყო.

ეკონომიკური სტაბილიზაციის ერთ-ერთი მეთოდი არის დოლარის კურსის რეგულირება. დოლარის ფასის მანიპულირებით, მთავრობას შეუძლია, ასტიმულიროს ან პირიქით - შეაკავოს იმპორტისა და ექსპორტის მოცულობა. იმდენად, რამდენადაც

საერთაშორისო ვაჭრობა დღეს შეადგენს ერტობლივი ეროვნული პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს, ის არსებით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის დონეზე.

ლარის მაღალი კურსის შემთხვევაში, შესაძლებელია, ვიყიდოთ მეტი დოლარი, იენი, ინგლისური ფუნტი-სტერლინგი და სხვა. ეს აიაფებს საზღვარგარეთიდან შემოსატან პროდუქციას და პირიქით - საზღვარგარეთ აძვირებს ქართულ პროდუქციას. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, „ძვირი“ ლარი ასტიმულირებს იმპორტს და აკავებს საქონლის ექსპორტს. ლარის დაბალი კურსის შემთხვევაში, ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიები განიცდიან ზარალს, ხოლო ქვეყანა განიცდის სასაქონლო ბალანსის დეფიციტს. როცა ლარი „ძვირია“ შეიმჩნევა საპირისპირო სიტუაცია.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო გაცვლებში ლარის ფასს, არის სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. როდესაც სახელმწიფო ამცირებს ფულად მასას, საპროცენტო განაკვეთები იზრდება, ხოლო ინფლაციის ტემპი მცირდება. ასეთი პირობები იზიდავს ინვესტორებს. საქართველოში ფული შემოედინება, რაც ზრდის ლარის „ფასს“ სხვა ვალუტასთან შედარებით. უკანასკნელს შეიძლება გააჩნდეს ორი მნიშვნელოვანი შედეგი: ჯერ ერთი, საზღვარგარეთის კომპანიები განიცდიან საინვესტიციო კაპიტალის დეფიციტს, რადგანაც ფული, რომელიც მათ გააჩნიათ ინვესტირდება საქართველოს ეკონომიკაში; მეორეს მხრივ -ქართველი ექსპორტიორები არ აწყდებიან სიძნელეებს საქონლის საზღვარგარეთ გაყიდვის პროცესში, რის გამოც იზრდება წარმოების მოცულობა და მცირდება უმუშევრობა.

და პირიქით, როდესაც სახელმწიფო ზრდის დაფინანსების მოცულობას, როგორც ეს იყო საქართველოში 2004-2006 წლებში, საპროცენტო განაკვეთები იზრდება. ეს იწვევს საქართველოს ეკონომიკაში საზღვარგარეთის დაბანდებებისა და ლარის ფასის შემცირებას. ექსპორტი მცირდება, ხოლო იმპორტი იზრდება. ლარის ფასსა და სხვა ვალუტების ოპტიმალური თანაფარდობის დადგენა ერთობ რთულია, რადგანაც ის დამოკიდებულია არა მარტო საქართველოზე, არამედ სხვა ქვეყნებზეც. მაშასადამე,

როგორც არ უნდა გვინდოდეს იდეალური ფინანსური კლიმატის შექმნა, არავითარ ძალებს, მათ შორის სახელმწიფოს, არ შეუძლია ეკონომიკური განვითარების სრული გაკონტროლება.

საქართველოში ინფლაციის სახეობებიდან უნდა გამოიყოს:



2006 წელს საქართველოში პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა ინფლაცია და ეროვნული ფულის (ლარის) ხელოვნური გამყარება, ანუ ლარის რევალვაცია. 2005-2006 წლებში ლარის კურსი 2,1-დან 1,72-მდე ჩამოვიდა (დიაგრამა, 5), დოლარიზაციის კოეფიციენტმა 2006 წლის სექტემბერში 90 პროცენტი შეადგინა, ანუ ფიზიკური პირების ყოველი 10 დანაზოგიდან 9 იყო დოლარებში.

დიაგრამა 5: ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან და ევროსთან.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

ინფლაციის შედეგად, ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაუარესდა ფიზიკური პირების დეპოზიტები. ამდენად, ამ მაგალითიდან ჩანს, რომ ლარის კურსის გამყარება უნდა მოდიოდეს ინფლაციის ტემპის შემცირების პარალელურ რეჟიმში, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მძიმედ დააწვება დეპოზიტარებს. ლარის გამყარება ერთის მხრივ შეიძლება ამცირებდეს ინფლაციურ ზეწოლას, ვინაიდან იმპორტი იაფდება, ამავდროულად ის აძვირებს საქართველოს საექსპორტო პროდუქციას, რაც ამცირებს მის კონკურენტუნარიანობას. ლარის გამყარება უნდა აღიქმებოდეს, როგორც იმპორტისა და ექსპორტის მიწოდებისა და მოთხოვნის რეგულირების მექანიზმი.

იმ შემთხვევაში თუ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი იზრდება, ინფლაციის ტემპი დიდდება. ასე მაგალითად 2004-2006 წლებში საქართველოს ბიუჯეტის ზრდას მოჰყვა მისი ხარჯვითი ნაწილის გადიდება, ანუ დროში ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების ნაწილი არ ემთხვეოდა ერთმანეთს, რაც იწვევს ზედმეტი ფულის ბაზარზე გამოსროლას და მიმოქცევაში ჭარბი ფულადი მასის არსებობას, რაც ინფლაციის მიზეზი ხდება (შენგელია, თ. 2008).

ცხრილი1: სამომხმარებლო ფასების ინდექსი.

სამომხმარებლო ფასების ინდექსები საქართველოში (წინა თვე=100)

წელი / თვე	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2104	2015	2016	2017	2018
I	101,2	102,7	102,5	101,4	101,1	102,1	100,5	100,3	100,8	100,2	100,9	102,9	100,6
II	100,2	100,7	100,9	98,7	101,5	102,8	100,2	99,7	100,2	100,1	100,1	101,7	100,2
III	100,1	98,9	100,1	99,6	99,8	100,0	99,8	99,9	99,9	101,2	99,7	99,5	99,6
IV	101,8	100,3	100,3	100,5	100,2	99,9	100,0	100,4	100,3	100,3	99,4	100,1	99,8
V	102,4	101,6	100,7	101,2	99,6	100,4	99,1	100,7	99,7	100,6	99,6	100,0	100,0
VI	99,8	99,8	99,9	100,0	99,7	96,0	99,1	99,4	99,1	100,0	99,1	99,6	99,4
VII	100,8	100,1	98,8	96,6	99,8	98,4	99,1	98,7	99,4	99,8	100,2	99,1	99,7
VIII	99,6	100,6	103,4	100,0	102,3	101,1	100,1	100,0	100,5	101,0	100,4	100,2	100,5
IX	100,0	101,2	99,2	102,8	103,1	100,6	100,8	99,9	101,2	101,1	100,3	100,7	100,3
X	100,8	102,8	95,5	102,2	102,0	99,8	100,0	101,5	100,3	100,8	100,5	100,8	100,3
XI	101,0	101,4	100,7	100,2	101,1	100,7	100,1	100,5	99,9	100,3	100,6	101,1	100,7
XII	100,9	100,3	99,6	99,9	100,5	100,6	99,7	101,5	100,7	99,4	101,0	100,8	100,5

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

ინფლაციის გარედან იმპორტირებაც არის შესაძლებელი. ასე მაგალითად, 2018 წლის სექტემბერ-ნოემბერში მნიშვნელოვნად გაძვირდა ენერგომატარებლების ღირებულება საერთაშორისო ბაზარზე, რამაც ზეგავლენა მოახდინა იმ ქვეყნებზე, სადაც იმპორტიზაციის მაჩვენებელი მაღალია. მათ რიცხვში აღმოჩნდა საქართველოც.

ეკონომიკური ტრანსპორმაციის ეტაპზე მყოფი ქვეყნებისათვის ინფლაციის 6 პროცენტზე მეტი მაჩვენებელი მაღალია, ის ხელს უშლის ბიზნესის აქტივობას. 2006 წლის ივლისში წლიური ინფლაცია 14,5%-ს შეადგენდა, სექტემბერში ის 11%-მდე დაეცა (ცხრილი, 1). საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი ინფლაციას 311 სახეობის პროდუქციის დანახარჯებიდან ანგარიშობს, რაც ინფლაციის პერიოდში ამ პროდუქციაზე ფასების მკვეთრი მატებით აისახება.

ინფლაციის შეზღუდვის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ბერკეტს მიეკუთვნება: სადეპოზიტო აუქციონები, რომლის დროსაც ხდება მიმოქცევიდან ეროვნული ვალუტის ამოღება. ასე მაგალითად, 2006 წლის აგვისტოში ბრუნვიდან ამოღებული იქნა 25 მილიონ ლარზე მეტი (საქართველოს ეროვნული ბანკი).

§3. ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების მართვის თავისებურებები

ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, რომელიც ორიენტირებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განხორციელებისაკენ. ეკონომიკური ზრდა ასახავს ეკონომიკური ცხოვრების მოძრაობას, საზოგადოებაში სამეწარმეო ძალების და ურთიერთობების განვითარებაში პროგრესული ტენდენციების და ცვლილებების გამოჩენის პროცესს. ის დაკავშირებულია ბუნებრივი, ეკონომიკური და საზოგადოებრივი რესურსების ხარჯვასთან, ამიტომაც ყოველთვის წარმოადგენს საზოგადოების შესაძლებლობებისა და საჭიროებების დინამიური ბალანსირების შედეგს. ეკონომიკური ზრდის მთავარი მიზანია გარკვეულ დროში მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების აბსოლიტური ან შედარებითი გაზრდა. მათი მოცულობა და სტრუქტურა უზრუნველყოფს თვითგანვითარების ძირითადი ფაქტორთა კვლავწარმოებას. ასეთია სამეწარმეო აპარატის ზრდა და განახლება, მისი ეფექტური გამოყენება. ამ საფუძველზე ხდება გადამწყვეტი სოციალური ინდიკატორების-რეალური შემოსავლის ზრდა, ცხოვრების დონის გაუმჯობესება და სხვა მაჩვენებლების გაზრდა. ასეთი ზრდა წარმოადგენს ეონომიკური განვითარების დადებით დინამიკას. ჩავარდნა კი ხასიათდება ეკონომიკური მაჩვენებლების, მისი ცალკეული სექტორების უარყოფითი დინამიკით.

განვითარების **ექსტენსიური** ტიპი წარმოადგენს ეკონომიკურ ზრდას, რომელიც მიიიღწევა მეწარმეობის გამოყენებული ფაქტორების მასის გაზრდის გზით. ეკონომიკური ზრდის ექსტენსიური ტიპის ძირითადი ფაქტორებია სამუშაო პერსონალის, სამუშაო დროის, ძირითადი და საბრუნი ფონდების, ტექნოლოგიის სტაბილური დონისას ინვესტიციების ზრდა და ა.შ. თუმცა ექსტენსიური განვითარების ტიპისას შესაძლოა მეურნეობის ეფექტურობის ნაწილობრივი ზრდა, რადგანაც სახეზეა ე.წ. „მაშტაბის ეფექტი".

განვითარების **ინტენსიურ** ტიპს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ეკონომიკური ზრდა ეფუძნება წარმოების პროცესში უფრო მეტად სრულყოფილი საწარმოო ფაქტორების, ასევე არსებული სამეწარმეო პოტენციალის და სხვა რესურსების გამოყენებას. ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ტიპის ძირითად ფაქტორებს მიეკუთვნება ახალი ტენქიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა, მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, სამეწარმეო ციკლის შემცირება, არსებული ფონდების ბრუნვის და ოპერაციების დაჩქარება, ეკონომიკაში სტრუქტურული გარდაქმნები, წარმოების ორგანიზების გაუმჯობესება და სხვ. ინტენსიური განვითარების შედეგებს წარმოადგენს რესურსების წამოებაში ჩართული თითოეული ერთეულიდან საბოლოო პროდუქციის გამოსვლის ზრდა, პროდუქციის რენტაბელურობის და ხარისხის გაზრდა.

ეკონომიკური ზრდის ექსტენსიური და ინტენსიური ტიპები, როგორც წესი, ურთიერთქმედებენ და „თანაარსებობენ", რაც იძლევა საშუალებას ვილაპარაკოთ ეკონომიკური ზრდის უპირატესად ექსტენსიურ და უპირატესად ინტენსიურ ტიპებზე.

დიდ გავრცელებას პოვებს ეკონომიკური განვითარების კიდევ ერთი ტიპი- **ინოვაციური.** ის სხვებისაგან განსხვავდება ახალი და მუდმივად განახლებადი პროდუქციის მიზანმიმართული წარმოებით, მათ შორის ახალი ტექნიკის, საქონელი სახით ფაქტორ-ინოვაციები. მას ახასიათებს ტექნოლოგიურ ბაზაში, შრომის ორგანიზაციასა და მოტივაციაში სიახლეების გამოყენება. ინოვაციური გზა ხასიათდება სამეურნეო სისტემაში ინოვაციურობის კვლავწარმოებისათვის ყველა საჭირო ინსტიტუციონალური პირობების არსებობით. ასეთი თვისებები უზრუნველყოფენ ეფექტურ ეკონომიკურ ზრდას. ეს კი არის სახელმწიფოს ძლიერების გაზრდის,

ეროვნული სიმდიდრის და ინვესტიციების გაზრდისათვის დამატებითი რესურსების მიღების ძირითადი წყარო, რომელიც მიმართულია გაფართოებული კვლავწარმოების განხორციელებისაკენ.

ეკონომიკური ზრდის ოპტიმალური ტემპები განპირობებულია მოთხოვნების ბალანსითა და საზოგადოების შესაძლებლობით. ასეთ ეკონომიკურ ზრდაში უნდა იყოს დაინტერესებული ყველა- დამსაქმებლებიც და დაქირავებულებიც, პენსიონერები და მომავალი თაობაც. ეფექტური ეკონომიკური ზრდა ეყრდნობა მეცნიერებას და ტექნოლოგიურ ინოვაციებს, ბუნებრივი რესურსების გამოყენებას არა მხოლოდ დღევანდელი, ასევე სამომავლო მოთხოვნების გათვალისწინებით, ქვეყნის მასშტაბით სამეურნეო სუბიექტების ინტერესების შეთანხმება, სოციალური განვითარების შესაძლებლობების გამრავლება (ბარათაშვილი, ე. 2011).

წარმოების კაპიტალურმა წესმა ერთმანეთს დაუკავშირა და ურთიერთგანპირობებული გახადა კაპიტალის მესაკუთრეებისა და დაქირავებული მუშაკების ეკონომიკური ინტერესები, რითაც სათანადო პირობები შეიქმნა, როგორც წარმოების ზრდის დაჩქარებისათვის, ასევე მზარდი ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ძირითადი კაპიტალის მესაკუთრეთათვის, წარმოების მოცულობის გადიდება და წარმოების დანახარჯების შემცირება, რაც ქვეყნის მაშტაბით ეკონომიკურ ზრდაში პოულობს ასახვას, წარმოადგენს წმინდა მოგების ზრდისა და სიმდიდრის დაგროვების ძირითად საშუალებას. ამიტომ, მოგების გადიდებით მეწარმეთა დაინტერესება გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფისა და ეკონომიკური ზრდის წამქეზებელი მოტივია. მეტი მოგების მიღების მიზნით მეწარმეები ინვესტიციურ პროექტებს ახორციელებენ, წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლოეს მიღწევებს, შრომის და წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდებს ნერგავენ. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება, მკაცრი საბაზრო კონკურენციის პირობებში კონკურენტუნარიანობის ამარლებისა და მოგების გადიდების აუცილებელი პირობაა.

ეკონომიკური ზრდა, დაქირავებული მუშაკების ინტერესებშიც შედის, ვინაიდან მათი შემოსავლებისა და კეთილდღეობის ზრდის ძირითად წყაროს პროდუქციის გამოშვების გადიდება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ხელფასის ამაღლება წარმოადგენს. ამიტომ, დაქირავებული მუშაკი დაინტერესებულია წარმოებლური შრომით, საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებით და დანაზოგის შექმნით.

დღეისთვის, ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში წინა პლანზე ეკონომიკური განვითარების პრობლემა გამოდის. უნდა ღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეკონომიკური განვითარების ცალკეული მახასიათებლის ამაღლების ან სრულყოფის, ან პირიქით, რომელიმე მათგანის დაცემის ან გაუარესების მიხედვით, შეუძლებელია ეკონომიკური განვითარების ერთმნივნელოვანი შეფასება, ვიანიდან ერთი მახასიათებლის სრულყოფის პროცესი შეიძლება სხვების გაუარესებას დაემთხვეს. მაგალითად, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, 90-იან წლებში განხორციელებული ინსტიტუციურ სტრუქტურული ცვლილებებისა და ლიბერალიზაციის პროცესები მიანიშნებენ ეკონომიკური განვითარების პროცეზსე. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციისკენ მიმართულმა რეფორმებმა წარმოების მკვეთრი დაცემა, უმუშევრობის ზრდა, ინფლაცია, სიღარიბის დონის ამაღლება და მოსახლეობის ცხოვრების პირობების არსებითი გაუარესება გამოიწვია, ე.ი. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში აღინიშნება „ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური ზრდის გარეშე“, სიღარიბის დონის ამაღლებისა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესების ვითარებაში. ამიტომ, ეკონომიკური განვითარების შეფასება უცილებელია მისი ცალკეული მახასიათებლების კომპექსური შეფასების საფუძველზე გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელი ცვლილეების გათვალისწინებით.

ეკონომიკური ზრდა ეკონომიკური განვითარების შემადგენელი ნაწილია. გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური მოცულობის გრძელვადიანი ზრდა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების, სიღარიბის შემცირების, ჯანმრთელობის დაცვის და განათლების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების, მოსახლეობის სოციალური დაცვის ეროვნული სისმდიდრის ზრდისა და მომავალი თაობების ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებელი მატერიალური

ბაზის ფორმირების, ქვეყნის თავადაცვისუნარიანობის გამტკიცებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები განსაკუთრებულ აქტუალობას გარდამავალ ეკონომიკაში იძენს, სადაც აღინიშნება სათანადო ფინანსური და მატერიალური რესურსების უკმარისობა. ამიტომ, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მხოლოდ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უნარის მქონე ეკონომიკური სისტემის შექმნითაა შესაძლებელი ეკონომიკური და სოციალური კრიზისის დაძლევა, კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ფორმირება, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ეროვნული მეურნეობის, მისის წამყვანი დარგების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, პოსტსოციალისტურმა ქვეყნებმა განსაკუთრებული ყურადღება ეკონომიკური ზრდის ეფექტურობას უნდა მიაქციონ.

ეკონომიკური ზრდის ეფექტურობა გულისხმობს:

1. სამამულო, რეგიონული და მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას;
2. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევებისა და ახალი ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვას და ამის საფუძველზე მთლიანი შიდა პროდუქტის განსაზღვრული მოცულობის წარმოებისათვის და მისი ზრდის უზრუნველყოფისათვის საჭირო რესურსების გამოყენებიდან უკუგების გადიდებას;
3. ქვეყნის რეგიონებისა და დარგებს შორის შეზღუდული საწარმოო რესურსების ეფექტურ განაწილებას;

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში გავრცელებულია ეკონომიკური ზრდის განსაზღვრა ორი ურთიერთდაკავშირებული საშუალებით. პირველის თანახმად, ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება, როგორც რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის გადიდება საანგარიშო პერიოდის მანძილზე. ხოლო მეორეს თანახმად, იგი გაანგარიშდება, როგორც მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მთლიანი შიდა

პროდუქტის გადიდება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ამა თუ იმ საშუალების გამოყენების აუცილებლობას განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები. ეკონომიკური ზრდის გაანგარიშების პირველი წესი გამოიყენება მაშინ, როდესაც კვლევის ამოცანას ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალის დადგენა წარმოადგენს, ხოლო მეორე მაშინ, როდესაც აინტერესებთ ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით მოსახლეობის კეთილდღეობის დონის შედარება.

მეტად საყურადღებო მოსაზრებაა, მთლიანი შიდა პროდუქტის მთლიანი მოცულობის, მისი სულადობრივი მაჩვენებლის გადიდება ან შემცირება სათანადო სიზუსტით ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებას - ეკონომიკურ ზრდას ან ვარდნას ვერ ასახავს. მისი აზრით, ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური განვითარების დონეს განსაზღვრავს არა მარტო წლის განმავლობაში შეექმნილი დოვლათი, არამედ წინა პერიოდების მანძილზე დაგროვილი სიმდიდრის მარაგიც. ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, ადამიანთა კეთილდღეობას უფრო ზუსტად ასახავს დაგროვილი საზოგადოებრივი სიმდიდრე სულადობრივი გამოსახულებით, ვიდრე წლის მანძილზე შექმნილი დოვლათი. ქვეყანაში სოციალური-ეკონომიკურ განვითარების დონის ამაღლებაზე ან დაცემაზე, ეკონომიკურ ზრდაზე ან ვარდნაზე სწორედ ამ მაჩვენებლის ცვლილების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ.

თუკი საზოგადოებრივი სიმდიდრის წლის მანძილზე შექმნილი ნაწილი ნაკლებია მწყობრიდან გასულ სიმდიდრესთან შედარებით, აღნიშნული თვალსაზრისის თანახმად, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე დაეცეს (ბარათაშვილი,ე. 2011) .

პროფესორი გ. მალაშხია მიიჩნევს, რომ ეკონომიკური ზრდის შეფასებისას გასათვალისწინებელია ახლადშექმნილი და მწყობრიდან გასულ სიმდიდრეებს შორის არსებული თანაფარდობა, ეს თვალსაზრისი, თავისი მნიშვნელობით, განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, სადაც სამაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე აღინიშნა ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება, რის შედეგადაც, მკვეთრად დაეცა წარმოების მოცულობა, გაიზარდა უმუშევრობა, მწყობრიდან გამოვიდა ძირითადი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი. შემდგომში,

ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პარალელურად არ აღნიშნულა საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდაც. ქვეყნის საზოგადოებრივი სიმდიდრის, ეროვნული მეურნეობის წამყვან დარგებში საწარმოო მატერიალური ბაზის შემცირება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის დაქვეითებას ნიშნავს, რაც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისათვის.

ეკონომიკური ზრდის ხარისხის შეფასებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია მოსახლეობის ყველაზე მდიდარი 20%-სა და ყველაზე ღარიბი 20%-ის, აგრეთვე ყველაზე მდიდარი 10%-სა და ყველაზე ღარიბი 10%-ის შემოსავლებს შორის თანაფარდობის ცვლილებას (ბარათაშვილი, ე. 2010).

ეკონომიკური ზრდის შეფასება მიზანშეწონილია განხორციელდეს კომპლექსურად, შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

1. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის გადიდება საანგარიშო წლის მანძილზე;
2. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით რეალური მთლიაი შიდა პროდუქტის მოცულობის გადიდების საანგარიშო წლის მანძილზე;
3. საანგარიშო პერიოდის მანძილზე ახლად შექმნილი სიმდიდრის მეტობა მწყობრიდან გასულ სიმდიდრესთან შედარებით;
4. სიღარიბის დონის ცვლილება საანგარიშო წლის მანძილზე;
5. ადამიანის განვითარების ინდექსის ცვლილება საანგარიშო წლის მანძილზე;
6. განათლებაზე და ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული დანახარჯების ცვლილება საანგარიშო წლის განმავლობაში.

ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 7%-ით იზრდებოდა. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (12.3%) 2007 წელს დაფიქსირდა. საქართველოს ეკონომიკა განსაკუთრებით მდგრადი აღმოჩნდა 2008 წლის ორმაგი საგარეო შოკის მიმართ. 2008 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2,4% იყო, ხოლო 2009 წელს 3,7%-ით შემცირდა, თუმცა, სიტუაცია სწრაფად გამოსწორდა და 2010 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 6,2%

შეადგინა. 2011 და 2012 წლებში მისი მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, მაგრამ 2013 წელს მისი ტემპი უმნიშვნელოდ შემცირდა (3.4%), უმეტესად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შემცირების ხარჯზე, თუმცა 2014 წელს, მიუხედავად ზოგადად რეგიონში და საქართველოს ძირითად სვაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებული არახელსაყრელი ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველოს ეკონომიკა 4.6%-ით გაიზარდა (დიაგრამა 6).



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

უნდა აღინიშნოს, რომ 2006-2014 წლებში, ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვა 3,4-ჯერ გაიზარდა და 2014 წელ 50მლნ ლარი შეადგინა. მნიშვნელოვანია ასევე მშპ-ს წილი ბიზნესის ცალკეულ სექტორში, რომლის დიდი ნაწილი მოდის მრეწველობაზე 17%ყველაზე დაბალი კი მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაზე 9%-9% (დიაგრამ7).



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

საზოგადოების ცხოვრებაზე სახელმწიფოს გავლენა განისაზღვრება მმართველი სტრუქტურების უნარით, მიაღწიონ მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეს, ჰარმონიულ სოციალურ ურთიერთობებსა და ეკონომიკის განვითარების მყარ დინამიკას. აღნიშნული მიზნების მიღწევის ობიექტური წინამძღვარია მყარი ეკონომიკური ზრდის ტემპები, რაც, თავის მხრივ, საქმიან აქტივობასა და ინიციატივას, ასევე საზოგადოებრივი თანხმობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფ ეკონომიკურ პოლიტიკას ემყარება.

კონცეპტუალურად ეკონომიკური სიმყარე (მდგრადობა) არის ავტონომიური სამეურნეო სისტემის მდგომარეობა, რაც დროის გარკვეულ მომენტში მისი მიზანმიმართული ფუნქციონირების უნარს უზრუნველყოფს (ბარათაშვილი, ე. 2011).

სიტყვათა შეთანაწყობას „მყარი განვითარება“ (sustainable development) რამდენიმე აზრობრივი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ: მყარი, უზრუნველყოფილი, განვითარების ხელშემწყობი. სტრუქტურულად ეკონომიკური სიმყარე საერთო სამეურნეო დანიშნულების რიგ ასპექტებს მოიცავს. მასში შედის:

- რესურსული უზრუნველყოფა (ნედლეული, კაპიტალი, სამუშაო ძალა);
- ტექნოლოგიური შესაძლევლობები საქონლისა და მომსახურების აუცილებელი ნომენკლატურის შესაქმნელად;

- ინტელექტუალური პოტენციალი, როგორც ნოვაციებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის წყარო;
- ფინანსური ნაკადების სტაბილურობა, როგორც ცივილიზებული ეკონომიკური ურთიერთობის ფაქტორი;
- სამეურნეო სისტემის დაცულობა შიდა და გარე წყაროების ნეგატიური ზემოქმედებისაგან;

ეკონომიკური პროგრესი (განვითარება) არის საზოგადოების მატერიალურ-სოციალური მდგომარეობის ისეთი ცვლილება, როდესაც სიმდიდრის ზრდის შესაძლებლობა იქმნება. ამასთან, ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური ზრდის საფუძველზე მოსახლეობის ცხოვრების დონის მუდმივ ამაღლებას, ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას და მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 3%-იან ზრდას გულისხმობს. მოსახლეობის ცხოვრების დონის შესაფასებლად საჭიროა მრავალი მაჩვენებლის გაანალიზება, მაგრამ აღნიშნულ თემაში შეფასებული არის ის ზოგიერთი მაჩვენებელი, რაც ხელმისაწვდომია და საშუალებას მოგვცემს წარმოვადგინოთ ეკონომიკის მდგრადი განვითარების მართვის ეფექტიანობა. 2009 წლის მონაცემებით საქართველოში ბიზნეს სექტორში დასაქმებული იყო 387463 ადამიანი, დღეისათვის კი მათი რიცხვი 660889 ადამიანს შეადგენს (დიაგრამა.8.).

დიაგრამა 8: ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

ხოლო საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფას 2009 წლის მონაცემებით შეადგენდა 556,8 ლარს, რაც დაახლოებით 2-ჯერ ნაკლებია 2018 წლის მაჩვენებელზე (დიაგრამა.9. გვიჩვენებ საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის მაჩვენებლების დადებით დინამიკას ბოლო 9 წლის მანძილზე).



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

შრომის ბაზარზე სრული დასაქმების მიღწევა თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკაში დასაშვებია უმუშევრობის ბუნებრივი დონე (5,5-6%), რაც განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნისთვის და დამოკიდებულია ამ უკანასკნელის

პრიორიტეტებზე. 2009 წლის მონაცემებით საქართველოში უმუშევრობის დონის მაჩვენებელი დასაშვები უმუშევრობის დონის ბუნებრივი მაჩვენებელზე 12,3%-ით აღემატებოდა, ხოლო 2018 წლის მონაცემი 6,7%-ით აღემატება (დიაგრამა 10).



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უმუშვრობის ფაქტობრივი დონის 15%-ით გაზრდა იწვევს რეალური მთლიანი ეროვნული შემოსავლის (მეპ-ის) 2,5%-ით ჩამორჩენას პოტენციური მეპ-ისგან, აუცილებელია სახელმწიფომ მოახდინოს უმუშევრობის ბუნებრივი დონის რეგულირება. აღსანიშნავია ისიც, რომ მშპ ერთ სულზე ბოლო 8 წლის განმავლობაში ზრდის ტენტენციით ხასიათდება და 2018 წლის მაცვენებლით ის 10887,7 ლარს შეადგენს (დიაგრამა 11).



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

სახელმწიფომ მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოახდინოს ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე. ეკონომიკური ურთიერთობების ახალი პარადიგმის მიხედვით, სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმში სამართლებრივი და ეკონომიკური მეთოდების რიგი ინსტრუმენტები შედის, კერძოდ:

- მართვის სამართლებრივი მეთოდები. ისინი სახელწიფოს ძირითადად საკანონმდებლო დებულებებსა და საერთაშორისო შეთანხმებების პირობებს ემყარება. სამართლებრივი სივრცე მოთხოვნებით, რეკომენდაციებით, ვალდებულებებით ივსება, რომლებიც სამეურნეო მიზნების მიღწევის წესებსა და შესაძლებლობებს არსებითად ცვლიან. ამასთან, პრივატიზაცია-ნაციონალიზაციისა და ყიდვა-გაყიდვის გზით საკუთრების უფლების გადანაწილება თანამედროვე, ცივილიზებულ ფორმებს იღებს.
- მართვის ეკონომიკური მეთოდები ფასიანობა-ნაცვალგების, ეკონომიკური პასუხისმგებლობისა და ფინანსური დისციპლინის ინსტრუმენტებს მოიცავს. ისინი საგადასახადო ურთიერთობების ქმედით სისტემას, საქონელგაცვლისა და ფასწარმოქმნის ეფექტიან რეგულირებას განაპირობებენ. მეურნე სუბიექტების ეკონომიკური სიმყარის მიზნით აქტიურად გამოიყენება: დაზღვევის სხვადასხვა ფორმა, საქმიანობის სახეების მიხედვით ლიცენზირება და აუდიტი.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის დ. ნორთის აზრით, „ეკონომიკის ეფექტიანი ორგანიზაცია ეკონომიკური ზრდის გასაღებია. იგი ისეთი სტრუქტურის ჩამოყალიბებას

იწვევს, რომელიც ინდივიდუალური ეკონომიკური ძალისხმევის ამაღლებისთვის ქმნის სტიმულებს და მოგების ინდივიდუალურ ნორმას საზოგადოებრივთან აახლოებს“.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოიკითხა ქალაქ ბათუმში რეგისტრირებული 45 ბიზნეს სუბიექტი. კვლევა ჩატარდა თვისობრივი და რაოდენობრი მეთოდით, რომლითაც დადგინდა, რომ 31,1% დაკავებულია ვაჭრობით, 22,2% ახორციელებს სოციალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურებას (როგორიცაა: სილამაზის სალონი სამკერვალო და სხვა.), 13,3% სარესტორნო და სასტუმრო მომსახურეობას ეწევა, ასევე 13,3% საქმიანობს გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში, 11,1% საქმიანობს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, 6,7 % საქმინაობს ჯანდაცვის და 2,3% მშენებლობის სფეროში. კვლევის შედეგების რეპრეზენტალურობა განპირობებული იმით რომ მასში მომნაწილეობა მიიღო როგორც ძირითადი ეკონომიკური სფეროს მეწარმეებმა ასევე კვლევა შეეხო სხვადასხვა სიდიდიდსა და სამინობის ხანგრძლივოის მქონე მეწარმეებს.



წყარო: შედგენიალია ავტორის მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

კვლევის შედეგებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში საწარმოების საქმინობაში მთლიანობაში მაინც პოზიტიური ტენდენციები ჭარბობს. ვინაიდან გამოკითხულთა 53% მიიჩნევს, რომ მათი ბიზნეს სამქიანობა 5წლის წინანდელტან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, 11% მიიჩნევს რომ

უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა და სულ რაგაც 27% მიიჩნევს რომ მათი მდგომარეობა 5წლის წინანდელთან შედარებით უმნიშვნელოდ გაუარესდა.



წყარო: შედგენიალია ავტორის მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

მეწარმეებმა უპასუხეს კიხვას: „ბოლო პერიოდში მიღებულმა საბანკო/ საგადასახადო რეგულაციებმა როგორ იმოქმედა თქვენს ბიზნესზე“?

დიაგრამა14: საბანკო/საგადასახადო რეგულაციების შედეგად გამოწვეული ცვლილებები;



წყარო: შედგენიალია ავტორის მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

მეწარმეები განხორციელებული საბანკო რეგულაციებით გამოწვეულ ცვლილებებს საბოოო ჯამში უარყოფითად აფასებენ და ამის მიზეზად ასახელებენ

იმას, რომ არ შეცვლილა კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი და მისი მაჩვენებელი ისევ მაღალია, ბანკი არ ითვალისწინებს ბიზნესის სეზონურობას, სესხის აღება დიდ დროს მოითხოვს და ბანკს ხშირ შემთხვევაში საგარანტიო მოთხოვნები არარეალური აქვს.

გამოკითხულმა მეწარმეებმა ის ფაქტორებიც დაასახელეს, რომლებიც ხელს უშლიან მათ საქმიანობის განვითარებას.

გამოკითხული მეწარმეების 60%-მა ბიზნესის განვითარების მთავარ ხელის შემშლელ ფაქტორად მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარი დაასახელა:



წყარო: შედგენიალია ავტორის მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულ მეწარმეთა 50%-ზე მეტი მიიჩნევს რომ ქალაქ ბათუმში ნორმალური ბიზნეს გარემოა შექმნილი მაინც არაჯანსაღი კონკურენცია არის ბიზნეს სუბიექტებს შორის და საქმიანობის გარკვეულ სფეროებში უცხოელი ბიზნესმენების მხრიდან მაღალი კონკურენცია იგრძნობა.

როგორც ვიცით, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ბიზნესის გარემოს ლიბერალიზაციისაკენ თვალსაზრისისთ, აღნიშნული მიღწეული იქნა რეგულაციური პრაქტიკის გამარტივებით, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობით და აქტიური საპრივატიზაციო პოლიტიკის გატარებით. მიუხედავად ამისა მეწარმეების წინამდებარე გამოკითხვა ადასტურებს, რომ საქართველოში გარკვეული საწარმოების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის

ცვლილება განხორციელდეს. სრულყოფას საჭიროებს როგორც არსებული საკანონმდებლო ბაზა, ისე საგადასახადო და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის მხარდამჭერი პოლიტიკა.

საჭიროა აგრეთვე შესაბამისი საინფორმაციო-საკონსულტაციო სისტემის განვითარება მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მფლობელებისა და მენეჯერების ინფორმირებულობისა და კომპეტენტურობის ასამაღლებლად, რაც საქართველოს სინამდვილეში სერიოზულ გამოწვევად ყალიბდება.

დასკვნა

სამაგისტრო თემის თეორიული საფუძვლის შესწავლით, ასევე სტატისტიკური და განხორციელებული კვლევით მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აუცილებელია სახელმწიფომ მარეგულირებელი როლი შეასრულოს გარდამავალ პერიოდში ახალი ეკონომიკური სისტემის ჯერ ფორმირებისა და მერე მისი განვითარების უზრუნველყოფის პროცესში.

- ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, მათ შორის საქართველოც ძალზედ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. მსგავს შემთხვევებში ტრანსფორმაციის პროცესები ძირითადად ორი მიმართულებით უნდა განხორციელდეს: პირველი, ეს განსაკუთრებით ეხება სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის როლს და ასევე, მის მეტისმეტად გაზრდილ სოციალურ ფუნქციას. ეს, უპირველესად, უნდა განხორციელდეს პრივატიზებისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის გზით.
- ბოლო ათწლეულის მანძილზე სახელმწიფოს როლი უდავოდ გაიზარდა, ამაღლდა ეკონომიკაზე მისი ზემოქმედების ძალა. მაგრამ რიგი მიზეზების გამო, მიღებული კანონებისა და გადაწყვეტილებების ხარისხი დაბალია, ზოგიერთ სფეროში რეფორმები არ არის დასრულებული, ხოლო ზოგან, პრაქტიკულად არც დაწყებულა. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ არ არის დასრულებული რეფორმები საფინასო და სადაზღვეო სექტორებში, საწყის ფაზაშია მიწისა და საპენსიო რეფორმები, ხოლო საბინაო-კომუნალური მეურნეობის რეფორმირება ჯერაც არ დაწყებულა. სახელმწიფოსათვის დიდი მატერიალური დანაკარგების ფასად მოხდა საგარეო ვაჭრობის სისტემის რეფორმირებაც და ა.შ.
- ეკონომიკის განვითარების და მოსახლეობის ცხოვების ნორმალური დონის მიღწევის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ ფაქტორს ქვეყნის ეკონომიკურ სივრცეში თანამედროვე ცივილიზებული მწარმოებლობის ფორმირება წარმოადგენს. ამ

მხრივ სახელმწიფომ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმები გაატარა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბიზნესის რეგისტრაციის, ბიზნესის დაწყების, ლიცენზირებისა და ნებართვის აღების პირობები მეწარმეებისათვის. მდგომარეობა გაუარესებულია კრედიტის ხელმისაწვდომობის მხრივ, რაც კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის არსებობითაა განპირობებული და რაც ზრდის წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის ღირებულებას. აღნიშნული კი თავის მხრივ არაკონკურენტულ გარემოს უქმნის მეწარმეებს ბაზარზე.

საბოლოო ჯამში საქართველოში ბიზნესის მხარდასაჭერად და ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია სახელმწიფომ მოახდინოს:

- ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება;
- შეინარჩუნოს პოლიტიკური სტაბილურობა,;
- შეამციროს საპროცენტო განაკვეთი კრედიტებზე;
- გაამარტივოს საგადასახადო პროცესები;
- ინვესტიციები განახორციელოს ადამიანური რესურსების განვითარებაში,;
- გააუმჯობესოს მეზობელ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობები;
- და რაც მთავარია ადგილობრივ წარმოებას, განსაკუთრებით ექსპორტის წახალისებას შეუწყოს ხელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი, ე., ჯოლია, გ., გრძელიშვილი, ნ., მამალაძე, ი., სეხნიაშვილი, დ., ჩახაშვილი, დ. (2011). ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, წიგნი 1. თბილისი.
2. ბარათაშვილი, ე., მაგრაქველიძე, დ. (2009) საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები, თბილისი.
3. ბახტაძე, ლ. (2006-2012). გარდამავალი ხანის ეკონომიკა, თბილისი.
4. გრეგორი მენქიუ. „ეკონომიკის პრინციპები“ თბილისი 2000,2008.
5. შენგელია, თ. (2010). გლობალური ბიზნესი „ახალი საქართველო“, თბილისი.
6. შენგელია, თ. (2008). ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბილისი.
7. აწარმოე საქართველოში-ბიზნესის განვითარება/მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერა. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka
8. აწარმოე საქართველოში-ბიზნესის განვითარება/საკრედიტო საგარანტიო მექანიზმი. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka
9. აწარმოე საქართველოში/კვლევები და პუბლიკაციები- http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5cadb10264501-1-PRINT-Master-2019-small.pdf
10. გეგეშიძე, ე. (2010). მთლიანი შიდა პროდუქტი და ეკონომიკური ზრდა, (სადისერტაციო ნაშრომი) თბილისი. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000404/Gegeshidze.%20E%2B%2B.pdf
11. გობეჯიშვილი, ე. (2013). საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის მიმართულებები, (სადისერტაციო

ნაშრომი) თბილისი.
http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000648/disertacia-E.Gobejishvili.pdf

12. კობერიძე, ბ. (2015). მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ინსტიტუციური მიმართულებები საქართველოში და ევროკავშირთან ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგობები, თბილისი. https://sangu.ge/images/2015/koberidze.pdf
13. მიმინოშვილი, თ. (2014). სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის მექანიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები, თბილისი. https://sangu.ge/images/2014/miminoshvili.pdf
14. პაპავა, ი. (2015). ბიზნეს გარემო და სახელმწიფოს როლი მის გაუმჯობესებაში, (სადისერტაციო ნაშრომი) თბილისი. **http://gtu.ge/bef/pdf/Doqtorantura/avtoreferatebi_2016/BA_17.02.16/avtoreperati_i.papava.pdf**
15. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო- http://www.economy.ge/
16. საქართველოს ეროვნული ბანკი-https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2
17. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური- https://www.geostat.ge/ka/modules/categories/68/regionebis-mikhedvit
18. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური- https://www.geostat.ge/ka/modules/categories/67/organizatsiul-samartlebrivi-formebis-mikhedvit
19. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური- https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp
20. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური- https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia
21. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური- https://www.geostat.ge/ka/modules/categories/92/monetaruli-statistika
22. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური- https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba

23. შუბლაძე, გ., ნანიტაშვილი,მ. (2011). ბიზნესის საფუძვლები, თბილისი. http://www.bpa.ge/book/book31.pdf
24. ცეცხლაძე, ლ. (2012). მცირე ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სტრატეგია თანამედროვე საბაზრო სისტემაში, (სადისერტაციო ნაშრომი) ბათუმი. https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_3291_1.pdf
25. ხუბუნაია შ. „მეწარმეობა“ თბილისი 2015
26. აწარმოე საქართველოში-ბიზნესის განვითარება/ინდუსტრიული მიმართულება. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka

დანართი:

1. თქვენი ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართველიბრივი ფორმა და სახე?

2. რამდენი წელი ფუნქციონირებს თქვენი ბიზნესი?

3. ზოგადად თუ შევადარებთ თქვენი ბიზნესის დღევანდელ მდგომარეობას 5წლის წინანდელს, როგორ შეიცვალა ის?
   1. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა;
   2. უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა;
   3. მდგომარეობა უცვლელია;
   4. უმნიშვნელოდ გაუარესდა;
   5. მნიშვნელოვნად გაუარესდა;
   6. სხვა (ჩაწერეთ)----

4. ბოლო პერიოდში მიღებულმა საგადასახდო რეგულაციებმა როგორ იმოქმედა თქვენს ბიზნესზე?

5. თქვენს საწარმოში არსებული ტექნიკური აღჭურვილობა არის თუ არა თანამედროვე და რა პერიოდულობით ახდენთ მის შეცვლას?

6. რა ტიპის ფართზე ეწევით ბიზნეს საქმიანობას?
   1. ჩემს (ოჯახის) კუთვნილ ფართზე;
   2. ნაქირავებ ფართზე;
   3. სხვა (ჩაწერეთ)--------;

7. რა სახის საგადასახადო შეღავათებს ისურვებდით?

8. რა წარმოადგენს თქვენი ბიზნეს საქმიანობის ხელისშემშლელ ფაქტორს?
   1. ფინანსების ნაკლებობა,საკრედიტო რესურსების სიძვირე;
   2. არაჯანსაღი კონკურენცია;
   3. მაღალი გადასახადები;
   4. მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარი;
   5. მომუშავე პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია;
   6. მაღალი კომუნალური გადასახდები;
   7. ცუდი ადგილმდებარეობა;
   8. პრობლემები მიმწოდებლებთან;
   9. ფინანსური პართნიორის პოვნის სირთულე;
   10. სხვა (ჩაწერეთ)----

9. რამდენად ჯანსაღი კონკურენცია არის ბიზნეს სუბიექტებს შორის?

10. იგრძნობა თუ არა კონკურენცია უცხოელი ბიზნესმენების მხრიდან?
    1. კონკურენცია ძალიან მაღალია;
    2. კონკურენცია საშუალო სიძლიერისაა;
    3. კონკურენცია დაბალია;
    4. უცხოელი ბიზნესმენის მხრიდან ადგილი აქვს არაჯანსარ კონკურენციას;
    5. სხვა (ჩაწერეთ)---

11. თქვენი აზრით ქალაქში როგორი ბიზნეს გარემოა შექმნილი?

12. როგორ გესახებათ თქვენი ბიზნეს მომავალი და რა რისკებს ხედავთ?